აჭარა

გამოდის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№4 (25.028) სამშაბათი, 17 - 18 იანვარი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდამთიან რაიონებში - 7-12 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის

ნაირა ფუტკარაძე 555 12 72 07

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში, 2023 წლიდან თანადაფინანსება 40 ათას ლარამდე გაიზარდა

პროგრამა ითვალისწინებს ეკომიგრანტი ოჯახების უზრუნველყოფას უსაფრთხო საცხოვრისით. გათვალისწინებულია ბენეფიციარის დაფინანსება მის მიერ შერჩეული საცხოვრებელი ფართის შესყიდვისთვის, არა უმეტეს 40 000 ლარისა.

მოსარგებლეები არიან ეკომიგრანტთა მონაცემთა მუდმივად განახლებად ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებული ეკომიგრანტები, რომელთაც მინიჭებული აქვთ პრიორიტეტულობის ქულა.

საცხოვრებელი ფართის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გამყიდველის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე ხელშეკრულებაში ასახული ქონების ღირებულების შესაბამისად, არა უმეტეს პროგრამით გათვალისწინებული თანხისა. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფართის გასაყიდი ღირებულება აღემატება პროგრამით განსაზღვრულ თანხას, სურვილისა და შეთანხმების შემთხვევაში, ბენეფიციარი ფართის შეძენის მიზნით თავად დაფარავს დარჩენილ სხვაობას.

პროგრამაში ჩართვისათვის ბენეფიციარმა უნდა მიმართოს შესაბამის თვითმმართველ ერთეულს, დაზიანებული საცხოვრებელი ფართის მდებარეობის მიხედვით.

2022 წელს, პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნა 72 საცხოვრებელი ფართი, რისთვისაც ბიუჯეტიდან 2 160 000 ლარი გამოიყო.

გასულ წელს, ასევე, აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული 158 ოჯახი, გამოიყო მილიონ 924 153 ლარი.

თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა დადებითად შეაფასა აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა 2

დათმობაზე წასვლა არ ნიშნავს სისუსტეს, რაც ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც უნდა გაითავისონ 3

ბათუმში გარემოვაჭრეების დახლები აიღეს 2

კლუბური ნარკოტიკი - «სიბნელეში» ჩასაფრებული მტერი 5

როსტომ ლორთქიფანიძე: მთაში ცხოვრებას, შრომას რიგი პრობლემები ახლავს 4

აჭარაში ზამთრის ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაშია 6

კრიალოსანიუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, დელეგაციასთან ერთად, შვეიცარიაში გაემგზავრა. მთავრობის მეთაური დავოსში მონაწილეობას მიიღებს ყოველწლიურ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში. ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ღარიბაშვილი ორმხრივ, მაღალი დონის შეხვედრებს გამართავს როგორც მსოფლიო ლიდერებთან, ისე მსხვილი საერთაშორისო კომპანიების ხელმძღვანელებთან. დაგეგმილია პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლა პანელურ დისკუსიებზე.

* * *

მნიშვნელოვანია, რომ რადიკალიზმის ხარისხი შემცირდეს ქართულ პოლიტიკაში და ამ კუთხით შეიძლება სერიოზული წინსვლის მიღწევა მომავალი წლების განმავლობაში, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის თქმით, რადიკალიზმის შემცირების მთავარი გასაღები რადიკალური ოპოზიციის დასუსტებაშია. „დღეს, რეალურად, დასუსტებულია რადიკალური ოპოზიცია. პროცესი თუ გაგრძელდება (და მე მგონია, რომ აუცილებლად გაგრძელდება), შეიძლება, ქვეყანამ საბოლოოდ დააღწიოს თავი იმ ჩაკეტილ წრეს, რასაც პოლარიზაციას ვეძახით“, - განაცხადა კობახიძემ.

* * *

„ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატის გიორგი მუმლაძის განცხადებით, ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროგრამა გამართულად არ მუშაობს და ხარვეზების გამო ბევრ ადამიანს უჭირს დარეგისტრირება პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. „პროგრამა, რომელიც არეგისტრირებს ჩვენს მხარდამჭერებს, არის ხარვეზიანი. ამ არჩევნების მიმართ ძალიან ბევრში გაჩნდა ეჭვი. საბოლოო ჯამში, თუ პროგრამა არ გამოსწორდა, არჩევნების ლეგიტიმაციას შეექმნება საფრთხე“, - აცხადებს მუმლაძე.

* * *

სააკაშვილი თავის პატრონებს კონკრეტული თემებით აშანტაჟებს. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, პატრონები მის გასათავისუფლებლად ყველაფერს იღონებენ და ხელისუფლების დაშანტაჟებასაც გააგრძელებენ, თუმცა თუ მიზანს ვერ მიაღწიეს, ლოგიკურად რჩება გეგმა: სააკაშვილის, როგორც ოქროს მოწმის მოშორება, - ამის შესახებ მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადებაშია ნათქვამი. მათივე თქმით, სააკაშვილის ლიკვიდაციის შემთხვევაში, პატრონები „ორ კურდღელს დაიჭერენ“: მოიშორებენ ოქროს მოწმეს, რომელსაც ციხეში ნულოვანი პოლიტიკური ფასი აქვს და მეორე - სააკაშვილის სიკვდილს ხელისუფლებას დააბრალებენ და ამ საბაბით, ქვეყანაში მასობრივი არეულობის მოწყობას შეეცდებიან, რისი საბოლოო მიზანიც ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილება და საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა იქნება.

მოამზადა
ია შველიძე

ISSN 2720-8702

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა დადებითად შეაფასა აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ცალკეული უწყებების მიერ პროაქტიული გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით 2022 წელს განხორციელებული ღონისძიებების ტრადიციული მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა, რომელშიც, როგორც წინა წლებში, დადებითადაა შეფასებული აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა: „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების თვალსაზრისით არსებული გამოწვევების ფონზე, დადებითად უნდა შეფასდეს 2022 წელს ცალკეული უწყების მიერ პროაქტიული გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით გადადგმული ნაბიჯები. მაგალითად, აჭარის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული დადგენილება და დაიწყო შესაბამისი საჯარო ინფორმაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება“, - ნათქვამია ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ შეფასებაში. საუბარია დადგენილებაზე, რომლის თანახმადაც, საგრძნობლად გაიზარდა საბჭოს მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა.

კალანდას მიეძღვნა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ქედის კულტურის ცენტრში გალა კონცერტი ჩატარდა, რომელიც კალანდას მიეძღვნა. კონცერტში ქედის კულტურის ცენტრთან, სასოფლო კლუბებსა და კულტურის სახლებთან არსებული ფოლკლორული, ვოკალური ანსამბლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, კატეგორია „შემკრებნის“ წარმომადგენლები მონაწილეობდნენ

კონცერტის დასასრულს ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ ახალი წელი მიულოცა დამსწრე საზოგადოებას და ღონისძიებაში მონაწილე ანსამბლებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს, კატეგორია „შემკრებნის“ წევრებს და ფოლკლორისტ ლეილა ბეჟანიძეს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა, როგორც საქართველოს ფოლკლორის 2022 წლის ეროვნული ფესტივალის გამარჯვებულთ, ხოლო გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „იაგუნდი“ და მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება დააჯილდოვა, როგორც აღნიშნული ფესტივალის ლაურეატები.

მანვე გოგონათა ხალხურ საკრავთა ანსამბლ „იასამანს“ და ქედის სახელოვნებო სკოლას წლის განმავლობაში კულტურულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის საპატიო დიპლომი გადასცა.

ღონისძიებაზე დაჯილდოვდა ბერიძეების მუსიკალური ოჯახი, როგორც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებული მუსიკალური ოჯახების დათვალიერება-კონკურსის გამარჯვებული.

ქედის კულტურის ცენტრის დირექტორმა ჯამბულ სურმანიძემ დაჯილდოებულებს ღვაწლის წარმოჩენა მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

„გადასახდელიც 250 ლარია, დახლით რომ ისარგებლო“

ბათუმში გარემოვაჭრეების დახლები აიღეს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

გარემოვაჭრეების დახლები 15 იანვარს, გვიან ღამით ჭავჭავაძისა და ლერმონტოვის ქუჩების გზაჯვარედინზე, ასევე, წერეთლის ქუჩაზე აიღეს. მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებმა საქმიანობა იმ პირებს აუკრძალეს, რომლებიც სურსათს ყიდდნენ. მიუხედავად ამისა, ვაჭრობას დილითვე დაუბრუნდა რამდენიმე თვითდასაქმებული. მათი თქმით, საბანკო ვალდებულებების გამო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან და სხვა გამოსავალი არ აქვთ. მოვაჭრეების განმარტებით, მაშინ, როცა სახელმწიფო მოქალაქეებს ვერ ასაქმებს, თვითდასაქმებულ ადამიანებს შემოსავლის მოძიებაში ხელს არ უნდა უშლიდეს.

- სამუშაო ჩვენ არ გვაქვს, ბანკის ვალებს ვერ ვიხდით და კიდევ გვავიწროებენ. საღამოს მოდიან და პროდუქცია მიაქვთ. ძალიან ცუდ დღეში ვართ. მოგვაქციოს მთავრობამ ყურადღება, ხალხი ქუჩაშია გადგებული... ან სამუშაო მისცენ ადამიანებს. პენსია ისედაც ცოტაა, პროდუქტი ძალიან გაძვირდა, საჭმელს ვერ ვყიდულობთ, რა დღეში ვართ, ეს ჩვენ ვიცით მხოლოდ. ღამე მოვიდნენ და ყველაფერი წაიღეს. გაფრთხილება იყო, მაგრამ ასე უცებ თუ შეასრულებდნენ, არ ვიცოდით. ეთქვათ მაინც და პროდუქციას სახლში წავიღებდით, ურნებში რომ გადაყარეს. ამას მაინც გადავარჩენდით, - ამბობს გარემოვაჭრე გულიკო დანელია.

- ყველა სუპერმარკეტის წინ ბაზარია გახსნილი, ვინ მოვა, ფარეხში რომ ჩავიდეთ და დავჯდეთ? არავინ შემოდის იქ. ყველას ვალი გვაქვს. ჩაის ქარხანა აღარ არის, სამსახურები არ არის, რა გავაკეთოთ ხალხმა? ყველა ხომ ემიგრანტად ვერ იქცევა და ვერ დატოვებს შვილებს, - ამბობს ზაირა ფუტკარაძე.

- კუთხეში რომ ვიყოთ და პატარა დახლები გვქონდეს, არანაირ ტროტუარს ჩვენ არ დავკეტავთ, ადამიანობას ვფიცავარ. სახლიდან იმიტომ ვყიდით პროდუქციას, რომ გვიჭირს! მაინც და მაინც მერიის კართან დავდგეთ და ვუთხრათ, რომ პურის ფული არ გვაქვს? თუ ნაგვის ურნებში ვიქექოთ?! - გვითხრა ცისანა ბერიძემ.

ვენერა დიასამიძე: რამდენიც უნდა ვისაუბროთ, გამოსავალი არ გვაქვს. მაინც მისას აკეთებენ. ბაზარიც გააკეთეს და ერთიანი დახლებიც მოაწყვეს, მაგრამ ყველაფერი არასწორად გააკეთეს. თუთუნის გამყიდველები შეეყარეს შიგნით. რა უნდა იქ თუთუნს? რომ გაწვიმდება, შიგნითაც წვიმს, ძალიან მოუწესრიგებელი გარემოა. ვინ შემოვა იქ? გადასახდელიც 250 ლარია, დახლით რომ ისარგებლო, სად გვაქვს ამის ფული?!

გარემოვაჭრეები მზად არიან, ბათუმის მერთან პრობლემის მოგვარებაზე ისაუბრონ და შეთანხმდნენ ისე, რომ არც თავად დაზარალდნენ და არც ქალაქის და მოსახლეობის ინტერესები შეილახოს. მუნიციპალურ ინსპექციაში ჯერჯერობით კომენტარი არ გაკეთებულა.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

საქართველოში მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები განისაზღვრება. ყველა კომპანია, იმპორტიორი, დისტრიბუტორი თუ საცალო მოვაჭრე ვალდებული იქნება, მაქსიმალური ზედა ზღვარი ამ ფასების მიხედვით დაადგინოს. ფარმაცევტულ სექტორს ფასების გადახედვისთვის ვადა 31 იანვრამდე ექნება. თუ სექტორი რომელიმე მედიკამენტის ფასზე დასაბუთებულ არგუმენტს წარადგენს, სამინისტროში შექმნილი სპეციალური საბჭო აღნიშნულს განიხილავს. რეფერენტული ფასების დაწესება იმ რეფორმის ერთ-ერთი კომპონენტია, რომლის მიზანი მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის და მედიკამენტების მიწოდებაა. მთავრობის გადაწყვეტილების მიხედვით, 1 200-მდე დასახელების წამალი ეტაპობრივად გაიაფდება. პირველ ეტაპზე, პრიორიტეტულია ონკოლოგიური და ქრონიკული დაავადების მქონე პირებისთვის განკუთვნილი პრეპარატები. ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ სამკურნალო პრეპარატები, დაახლოებით, 40%-ით გაიაფდება.

* * *

აჭარის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებთა ნაწილს ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად ათობით კილომეტრის გავლა აღარ მოუწევს. კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ინიციატივით დიდაჭარაში მოსამზადებელი ცენტრი გაიხსნა, სადაც სიარულს მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებიც შეძლებენ. ცენტრში მომზადება უფასოა.

* * *

ორ კვირაში გაირკვევა მთავარი ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელად ისევ ნიკა მელია დარჩება თუ თანამდებობას სხვა გადაიბარებს. მოქმედ თავმჯდომარესთან ერთად პოსტისთვის ლევან ხაბეიშვილი, გიორგი მუმლაძე და ნონა მამულაშვილი იბრძვიან. ამომრჩეველთა რეგისტრაცია დაწყებულია, გრძელდება დაპირისპირებაც. დიდი ოპოზიციური პარტია რამდენიმე ნაწილად გაიყო, დაიწყო ომი ფარული ჩანაწერებითაც. ისინი, ვინც ერთ დროს გვერდიგვერდ იდგნენ, ახლა ერთმანეთს ადანაშაულებენ. რამდენიმე ნაწილად გაიყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების პოზიციები ბათუმშიც. ნიკა მელიას მხარდამჭერებმა აქ შტაბი შექმნეს, სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე საკუთარ უპირატესობაზე ისაუბრეს და მოწინააღმდეგეები კულისებიდან მართულებად მოიხსენიეს. ბათუმის შტაბში ამბობენ, რომ კულისებიდან პოლიტიკურ პროცესებს ლევან ვარშალომიძე, ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი მართავენ და ნიკა მელიას კონკურენტები ამ პიროვნებების პოზიციებს ახმოვანებენ.

* * *

ბათუმში, ჩაქვის დასახლებაში, სარეკრეაციო სივრცის, მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურის მოწყობისა და შენობების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს შპს „აჭარკაპმშენთან“ ხელშეკრულება 587 ათას ლარზე აქვს გაფორმებული. ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიამ ძაღლთსაშენის, იპოდრომისა და სარეკრეაციო სივრცის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 2023 წლის 31 მარტამდე უნდა მოამზადოს. სწორედ დეტალური პროექტირების შემდეგ დადგინდება, რა თანხა იქნება საჭირო ახალი სივრცის მოსაწყობად ჩაქვის დასახლებაში.

მოამზადა ნაირა შუტკარაძემ

დათმობაზე წასვლა არ ნიშნავს სისუსტეს, რაც ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც უნდა გაითავისონ

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესია უკრაინის მიმართ, შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ჩინეთისა და თურქეთის გავლენის განვრცობა და ევროპის მხრიდან რუსეთზე სანქციების გაგრძელება - 2023 წელს მსოფლიო თანამეგობრობა სწორედ ამ საკითხებზე იქნება კონცენტრირებული. დრომოჭმულსა და პროგრესულს შორის ამ ეპოქალურ ბრძოლაში რეალურად გამოვლინდება დასავლეთისა და რუსეთის შესაძლებლობები - ან პუტინი აღადგენს ახალ იმპერიას, ანდა კოლექტიური დასავლეთი შეძლებს ოფიციალური მოსკოვის ამბიციების მოთოკვას და მის ცივილურ რელსებზე გადაყვანას

24 თებერვლის შემდეგ მსოფლიო შეიცვალა. პრაქტიკულად, ევრაზიის კონტინენტზე რუსეთსა და დასავლეთს შორის მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს, ამატომ, ზოგი სახელმწიფო მოკავშირის გაჩენას აშშ-ის და ჩინეთის სახით ცდილობს. შუააზიურ ქვეყნებთან აქტიურად თანამშრომლობს ჩინეთი და თურქეთი, მოლდოვა რუმინეთის მხარდაჭერით შორდება რუსეთს, უკრაინა თავგანწირვით ებრძვის რუსეთის ფედერაციას, აზერბაიჯანს თურქეთი მფარველობს, სომხეთი არჩევანის ზღვარზეა დასავლეთსა და რუსეთს შორის, ჩვენს ქვეყანას კი დასავლური კურსი აქვს აღებული და ელოდება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას. ცხადია, 2023 წელი საქართველოსთვისაც მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იქნება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, გაირკვევა არა მხოლოდ ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობა სხვადასხვა საკითხთან მიმართებით, არამედ ისეთი საკითხები, როგორებიცაა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, ნატოსთან დაახლოება, აშშ-სთან სტრატეგიული მოკავშირის ხელშეკრულების გაფორმება და რუსეთის გეგმები საქართველოსთან მიმართებით. ის, თუ როგორ გადაწყვეტს ქვეყნის ხელისუფლება ამ საკითხებს, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს დაახლოებას დასავლეთთან, მის გაერთიანებას ნატოსა და ევროკავშირში. ჩვენ, ძირითადად, ქვეყნის შიდა პოლიტიკასა და გამოწვევებზე ვისაუბრებთ.

შიდა პოლიტიკური გარემოს სტაბილურობა რომ განაპირობებს ქვეყნის განვითარებას, არახალი ამბავია. არასტაბილურობა და მით უფრო სამოქალაქო ომი სახელმწიფოს არა მარტო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით აზარალებს, არამედ სუვერენიტეტსაც უზღუდავს, ამის მაგალითი საქართველო და ტაჯიკეთია, ოკუპირებული ტერიტორიები და ეკონომიკური კოლაფსი სწორედ ამ ქვეყნების თანმდევი პრობლემებია, ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა ამ მხრივ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს. სამწუხაროდ, მმართველი პარტია და ოპოზიცია ვერ თანხმდებიან სხვადასხვა საკითხზე. ძირითადი შეუთანხმებლობა ევროკავშირის 12-პუნქტიან რეკომენდაციებსა და მესამე პრეზიდენტის თემას უკავშირდება. ოპოზიცია, საჭიროების შემთხვევაში, არც ეროვნულ დაუმორჩილებლობას გამორიცხავს ხელისუფლების მიმართ. გარდა ამისა, პოლიტიკურ სპექტრში აშკარად შეიმჩნევა ურთიერთსიძულვილი, აღარაფერს ვამბობ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებზე, ოპოზიცია მმართველ პარტიას პრორუსულ ძალად მოიხსენიებს, ხელისუფლება თავის მხრივ ოპოზიციის ლიდერების დიდ ნაწილს ქვეყნის მტრად მიიჩნევს და ასე გრძელდება წლიდან-წლამდე, ეს მაშინ, როცა უკრაინა თავგანწირვით იბრძვის თვითგადარჩენისთვის, უმკლავდება რუსეთის არმიას და ათავისუფლებს ოკუპირებულ ტერიტორიებს. უკრაინაში დამარცხების ფონზე კრემლი შეეცდება საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია დაძაბოს, რათა ქვეყანა თავისი უპირობო გავლენის ქვეშ მოაქციოს. ამ მიმართებით დასავლეთი დიდი ყურადღებით აკვირდება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ჩვენი ქვეყანა კავკასიაში ნატოს დასაყრდენია, ამიტომაც არის ჩვენი საკითხი ასეთი აქტუალური. დასავლელი პარტნიორებისთვის საქართველო რეგიონში პრიორიტეტულია, ამიტომ მათი რჩევები და დროდადრო კრიტიკა სწორედ საქართველოს კეთილდღეობაზეა გათვლილი.

„ის, რომ „ნაცმოძრაობაში“ გავლენის ჯგუფები არსებობს, ახალი არ არის, უბრალოდ, ეს უფრო საჯარო გახდა... ყველამ იცის, რომ ხაბეიშვილის უკან კეზერაშვილისა და მერაბიშვილის ჯგუფები დგას, მელიას კი თავისი ჯგუფი ჰყავს, რომელიც შედგება უფრო რაციონალურად მოაზროვნე პირებისგან... იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენს პოლიტიკურ ელიტას დაკარგული აქვს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი თემებისადმი მგრძნობელობა“

შეესაბამება თუ არა ჩვენი დემოკრატიული ხარისხი დასავლურს? ამ კითხვაზე, ცხადია, ოპოზიციისა და მმართველი პარტიის მხრიდან განსხვავებული პასუხებია. ოპოზიციის თქმით, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი ეცემა, მმართველი გუნდის აზრით კი საქართველო რეგიონში ამ მხრივ მოწინავეა. რასაკვირველია, დემოკრატიის ხარისხის ზუსტი საზომი არ არსებობს, ის თითოეული ქვეყნისთვის ინდივიდუალურია. თუ დავეყრდნობით ჩვენი დასავლელი მეგობრების აზრს, ქვეყნის დემოკრატიულობის ინდექსი გარკვეულად, დადებით შეფასებას იმსახურებს, თუმცა ქვეყანაში არის სფეროები, სადაც რჩება კითხვის ნიშნები. ექსპერტთა თქმით, ეს სფეროებია სასამართლო ხელისუფლება, გაუმჭვირვალობა თვითმმართველობებში, ცესკოს დაკომპლექტების წესი. ექსპერტები აცხადებენ, რომ მმართველმა პარტიამ უნდა შეძლოს ოპოზიციასთან საქმიანი დამოკიდებულების შექმნა. რაღაც საკითხში დათმობაზე წასვლა, არ ნიშნავს სისუსტეს, აუცილებელია, თუნდაც ცესკოს ევროპული სტანდარტებით დაკომპლექტება, ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცება და ა.შ. ამ საკითხების მოგვარება შეიძლება, აცხადებენ ექსპერტები. აი, რიგგარეშე არჩევნების და საკაშვილის საკითხებზე მხარეები კონსენსუსს ალბათ, ვერ მიაღწევენ, პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალი არჩევნები 2024 წელს გაიმართება და ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში მნიშვნელოვანი მეგაპროექტები (ანაკლია, ახალი ჰესები...) განხორციელდება, რაც შეეხება მესამე პრეზიდენტს, მმართველი პარტიის წევრების თქმით, ის პასუხისმგებელია ქვეყნის წინაშე და კანონზე მაღლა არავინ დგას.

თავის მხრივ, ექსპერტთა ნაწილი (ხუხაშვილი, ლაგაზიძე) აცხადებს, თუ სააკაშვილის საკითხს ხელისუფლება სახელმწიფოებრივად მიუდგება, ანუ სამკურნალოდ გაუშვებს უცხოეთში, ამით რეიტინგსაც აიმაღლებს და დასავლეთის კეთილგანწყობასაც. რა და როგორ იქნება, ამას დრო დაგვანახებს, იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ თუ 2023 წელს ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური გარემო იქნება და თანაც მნიშვნელოვანი საკითხები (ცესკოს დაკომპლექტება, სასამართლო ხელისუფლების თავისუფლება, 12 პუნქტის შესრულება) ოპოზიციისა და მმართველი პარტიის ურთიერთშეთანხმებით გადაწყდება, მაშინ დასავლეთი უფრო შეძლებს ჩვენს დახმარებას და ამავე დროს, რუსეთსაც გაუჭირდება საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა.

ცხადია, ოკუპირებული ტერიტორიები, მცოცავი ოკუპაცია, არასტაბილური პოლიტიკური გარემო და არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყნის მთავარი გამოწვევებია. ამ მხრივ ზეაქტუალურია ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება, ეს გარკვეულწილად, გადაწყვეტს 2024 წლის არჩევნების ხარისხს. სწორედ ამაზე საუბრობს ანალიტიკოსი გიორგი გობრონიძე: „კანდიდატის სტატუსის მინიჭებისთვის საქართველომ უნდა შეასრულოს ის 12 რეკომენდაცია, რაც მითითებულია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განცხადის შესახებ ევროკომისიის დასკვნაში... ეს არის პროცესი, როდესაც საქართველო თავისი მოსახლეობით, პოლიტიკური ელიტით, ეკონომიკითა და სოციალური გარემოთი უნდა დაუახლოვდეს და გაუთანაბრდეს ევროპულ სტანდარტებს... ამ პროცესის გაუაზრებლობა საქართველოს უფრო დააზარალებს, ვიდრე ევროკავშირს“. ანალოგიური შეხედულებისაა, პარლამენტარი გიორგი ვაშაძე: „მმართველი პარტია ნორმალური არჩევნების ჩატარების შანსს არ იძლევა, ამის მაგალითი „გორბის“ შედეგებია. იმდენად არარეალური ციფრები დაწერეს, ცხადია, ხელისუფლება მომავალი არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება“. საპირისპირო შეხედულებისაა ირაკლი კობახიძე. მისი თქმით, ოპოზიციას არჩევნებში არანაირი შანსი არ აქვს და ცდილობენ ხელისუფლების დაშანტაჟებას. „ოპოზიცია დაყოფილი და უუნაროა, რასაც ჩვენი მოსახლეობა კარგად ამჩნევს“, - ასკვნის მმართველი პარტიის ლიდერი.

სხვათა შორის, ოპოზიცია რომ დამბლადაცემულია, მთავარ ოპოზიციურ ძალაში წარმოქმნილი პრობლემებიც ადასტურებს, რის შესახებაც ექსპერტები დაუფარავად საუბრობენ. „ის, რომ „ნაცმოძრაობაში“ გავლენის ჯგუფები არსებობს, ახალი არ არის, უბრალოდ, ეს უფრო საჯარო გახდა... ყველამ იცის, რომ ხაბეიშვილის უკან კეზერაშვილისა და მერაბიშვილის ჯგუფები დგას, მელიას კი თავისი ჯგუფი ჰყავს, რომელიც შედგება უფრო რაციონალურად მოაზროვნე პირებისგან... იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენს პოლიტიკურ ელიტას დაკარგული აქვს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი თემებისადმი მგრძნობელობა“, - აღნიშნავს პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე.

მართლაც ასეა, სწორედ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების შედეგი იყო 1992-93 წლების მოვლენები, როცა მთელი პოსტსაბჭოეთის ქვეყნები ზეიმობდნენ კომუნისტური იმპერიის ნგრევას, ჩვენ სამოქალაქო ომი გავაჩაღეთ. ასევე, 1998 წელს, როდესაც შესაძლებლობათა ფანჯარა გაიხსნა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები გაერთიანდნენ ნატოში, საქართველო, სამწუხაროდ, რუსულ ორბიტაზე ტივტივებდა. ახლაც, რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, დასავლური ფანჯარა კვლავ გაიხსნა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით, სავარაუდოდ, ჩვენმა ქვეყანამ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი, თუ რამე ექსტრაორდინარული არ მოხდა...

ჯერჯერობით საქართველოში სტაბილური პოლიტიკური გარემოა. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ქართველი პოლიტიკოსები იანვარში არ აქტიურობენ, თუმცა არც მანამდე იყო ოპოზიცია განსაკუთრებით აქტიური. ბოლო ხუთი თვეა, ოპოზიციური სპექტრი დამბლადაცემულია, ყოველ შემთხვევაში, ამაზე მეტყველებს მათი ქმედებები. ექსპერტები აცხადებენ, რომ ოპოზიცია დაშორდა ხალხს, ზოგი პარლამენტის დატოვებას მოითხოვს, ზოგი საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწეობას მიიჩნევს პრიორიტეტად... მოკლედ, ოპოზიცია არაათანმიმდევრულია. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტიის ყოფილმა წევრებმა ჩამოაყალიბეს პარტია „ხალხის ძალა“, ხელისუფლება მონოლითურია. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია ძალაუფლების შესანარჩუნებლად, თუმცა „ავი ენები“ ამბობენ, რომ პარტიაში ორი - ღარიბაშვილისა და კობახიძის დაჯგუფებები ფარულად ებრძვიან ერთმანეთს. თუ ოპოზიცია საპროტესტო მუხტს ვერ გააღვივებს მოსახლეობაში და არ შეიქმნება მძლავრი პროდასავლური ბლოკი, ხელისუფლების დამარცხება შეუძლებელი იქნება. საპარლამენტო არჩევნებამდე ორი წელი დარჩა და ძნელია პროგნოზი, თუმცა გარკვეული დასკვნის გაკეთება შეიძლება. ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია, რა კონდიციაში იქნება მმართველი პარტიისა და ოპოზიციის რეიტინგები, როგორი იქნება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და, რაც მთავარია, საქართველოს მიენიჭება თუ არა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი? სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორები გადაწყვეტს არჩევნებში ოპოზიციისა და მმართველი პარტიის ბედს.

როგორც ვთქვით, 2023 წელი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და ცხადია, მოზაიკა დიდწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ხელისუფლება რამდენად საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს მიიღებს, ამაზეა დამოკიდებული საზოგადოებისა და დასავლეთის რეაქციაც. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ გზა ევროკავშირისკენ წარმატებული ქვეყნის ხვედრია და თუ ამ გზით ვივლით, მაშინ, ცხადია, პროგრესული მსოფლიოს მხარდაჭერა და თანადგომა არ მოგვაკლდება, მაგრამ თუ მათ ეჭვი შეეპარათ ჩვენს დემოკრატიულობაში, დასავლეთისგან იზოლირება არ აგვცდება.

უცხოეთი

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი აცხადებს, რომ უკრაინისთვის მეტი იარაღის მიწოდების მოლოდინი აქვს. „მძიმე საბრძოლო აღჭურვილობის შესახებ ბოლო დაპირებები მნიშვნელოვანია და მე უფრო მეტს ველოდები უახლოეს მომავალში. ჩვენ ომის გადამწყვეტ ფაზაში ვართ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, უკრაინას მივაწოდოთ ის იარაღი, რომელიც მას სჭირდება მოსაგებად“, - განაცხადა მან. მიმდინარე კვირაში გერმანიაში, რამშტაინის ბაზაზე გაიმართება შეხვედრა ჯგუფისა, რომელიც კოორდინაციას უწევს კიევისთვის იარაღის მიწოდების საკითხებს.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს პოლიტპატიმრების გათავისუფლებისკენ მოუწოდებს. სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე მითითებულ „პოლიტპატიმრების“ ჩამონათვალში მოხვდნენ რანია ალ-აბასი (სირია), ეკპარ ასათი (ჩინეთი), ემირლენდრის ბენიტესი (ვენესუელა), მაიკელ „ოსორბო“ კასტილიო (კუბა), მოჰამედ ელ-ბაქერი (ეგვიპტე), ხოსე დანიელ ფერერი (კუბა), გო შერაბ გიატსო (ჩინეთი), მარია კალესნიკავა (ბელარუსი), ვლადიმირ კარა-მურზა (რუსეთი), კიმ კუჯ-გი (ჩრდილოეთ კორეა), იჰარ ლოსიკი (ბელარუსი), ელჩინ მამადი (აზერბაიჯანი), მანსურ მინგელოვი (თურქმენეთი), ნარგეს მოჰამადი (ირანი), ფამ დოან ტრანგი (ვიეტნამი) და ბუზურგმეჰრ იოროვი (ტაჯიკეთი).

* * *

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, უკრაინაში „სამხედრო ოპერაციის“ დინამიკა პოზიტიურია. კრემლის ლიდერი იმედოვნებს, რომ მისი სამხედროები მეტ გამარჯვებას მოიპოვებენ მას შემდეგ, რაც რუსეთმა კონტროლი დაამყარა უკრაინულ ქალაქ სოლედარზე. „დინამიკა პოზიტიურია. ყველაფერი თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის გეგმის ფარგლებში ვითარდება. იმედი მაქვს, ჩვენი მებრძოლები კიდევ უფრო გაგვახარებენ მათი ბრძოლის შედეგებით“, - აღნიშნა პუტინმა.

* * *

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა შვედეთს ულტიმატუმი წაუყენა. ერდოღანის თქმით, ანკარა ნატოში შვედეთის გაწევრიანებას იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ სტოკჰოლმი თურქეთს ტერორიზმში ბრალდებულ 130 პირს გადასცემს. მისივე თქმით, შვედეთის ხელისუფლება ქურთისტანის მუშათა პარტიის მხარდამჭერი აქციების აღსაკვეთად არაფერს აკეთებს, რაც ანკარისთვის მიუღებელია.

* * *

ვაშინგტონი და ნატო უკრაინის გავლით, რუსეთის წინააღმდეგ მარიონეტულ ომს აწარმოებენ, - განაცხადა ხორვატიის პრეზიდენტმა ზორან მილანოვიჩმა. იგი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი თავის ისტორიაში პირველად ებმება ომში, რაც ევროპული ბლოკის ფუნქციონირების შეთანხმებას ეწინააღმდეგება. „მოსკოვის წინააღმდეგ სანქციების მიზანს ვერ ვიგებ. გეგმა ვერ იქნება პუტინის გადაყენება და გეგმა ვერ იქნება სანქციები. ეს უაზრობაა. სანქციებით ვერაფერს მივაღწევთ“, - განაცხადა მილანოვიჩმა.

მოამზადა
ია შველიძემ

როსტომ ლორთქიფანიძე: მთაში ცხოვრებას, შრომას რიგი პრობლემები ახლავს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ერთ წელზე მეტია, რაც შუახევის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული საკრებულო მუშაობას შეუდგა. ჩვენი სტუმარია საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე

- მუშაობას 2020 წლის დეკემბერში შევუდექით. მრავალპარტიულ წარმომადგენლობით ორგანოში «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო» უმრავლესობაშია, კომისიების, საკრებულოს სხდომებზე ყველას წინადადებებს, მოსაზრებებს ვისმენთ. ჯერჯერობით ოპოზიციას პროექტის ინიცირება არ შემოუთავაზებია. ჩვენ მეტ აქტიურობას ვიჩენთ. მერიაში, საკრებულოში, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურება დაბალი იყო. გასული წლის ნოემბრის სხდომაზე პროექტი განვიხილეთ და მხარი დავუჭირეთ. მაშინ სახელფასო დანამატი თითოეულ მოხელეს (მაღალი თანამდებობის პირთა გამოკლებით) 30 პროცენტით გაეზარდა, ამ წლის დასაწყისიდან კი ყველას გაეზარდა 10 პროცენტით სახელფასო დანამატი. ა(ა)იპ-ებში დასაქმებულები ვეღარ გვისაყვედურებენ, რომ მათი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება მთიან რეგიონში მცხოვრები, 70 წელს გადაცილებული პენსიონერის პენსიაზე დაბალია. «კომუნალურ სერვისში» დასაქმებული მუშაკებისთვის წვიმა, ქარი, თოვლი, ცხელი დღეები არ არსებობს, უქმე დღეებშიც არ იზარებენ დაზიანებული წყალსადენის, თუნდაც დანაგვიანებული ტერიტორიების მოწესრიგებას, მინდობილ საქმეს პასუხისმგებლობით უდგებიან. შედეგიც სახეზეა - ცივი და უხვთოვლიანი ზამთრის პირობებში დაბა შუახევის, ხიჭაურის დასახლების, სოფლების წყალსადენები გამართულად მუშაობს. ფურტიო-ბუთურაული-ნენიის 29-კილომეტრიანი წყალსადენი და მისი სათავე ნაგებობაც მოაწესრიგეს. შუახევის მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტები 19,1 მილიონი ლარითაა განსაზღვრული. ახლა საკრებულოს თითოეული წევრის ვალია იმ პროგრამების, პროექტების სისტემატური მონიტორინგი, რაც ამ საფინანსო დოკუმენტით შუახევის მუნიციპალიტეტში უნდა განხორციელდეს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს ვანიჭებთ. ისევ გაგრძელდება სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა, მეწყერ და ზვავსაწინააღმდეგო, სოფლების წყალმომარაგების სამუშაოები, სარწყავი არხების რეკონსტრუქცია, შიდასასოფლო გზებზე ბეტონის საფარის დაგება, მთა ჩირუხის, მთა ღომას, ჭვანის ხეობის ტურისტული პოტენციალის ათვისებისთვის დაწყებული მუშაობა.

- შარშან კარგ წამოწყებას დაუდეთ სათავე - როგორც უჩამბის თემის მაჟორიტარმა, ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობა მოსახლეობას გააცანით.

- ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობის თანადგომით, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული საქმიანობით, საშუალება მომეცა სამაჟორიტაროო ოლქის 7 სოფელსა და დასახლებულ უბნებში (კვირიაული, ლომსიანეთი, ვერხვანა) რიგი ღონისძიებები დაგვესახა. ახლა ლაკლაკეთში, ტბეთში, ჯაბნიძეებში, ცინარეთში კეთილმოწყობილი სოფლის ცენტრები გვაქვს. მალე ასეთი იქნება წაბლანის და სამოლეთის ცენტრები. თითქმის 20 კილომეტრზე ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგო, სოფელ ჯაბნიძეებში ბაგა-ბაღის შენობა შევიდა ექსპლუატაციაში, წყალსადენი მოწესრიგდა სოფელ მოფრინეთში. აქ, ერთ უბანში მცხოვრებ ოჯახებს საავტომობილო გზა გავუყვანეთ. ორ ოჯახს ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით საბინაო პირობები გავუუმჯობესეთ. უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში 50-მდე დიდი და პატარა პროექტი განხორციელდა. ეს და სხვა საქმეები, წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობის პრინციპები გავაცანი ცინარეთელ ამომრჩევლებს საკრებულოს წევრების, მერიის წარმომადგენლების თანდასწრებით. გულღია საუბარმა რიგი პრობლემები ისევ წარმოაჩინა. სოფელი სარწყავი არხის რეაბილიტაციას, სასმელი წყლის მაგისტრალზე წყაროების მიერთებას, ცინარეთი-რიკიხეთის საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის დაგებას ითხოვს. ამ მხრივაც დავეხმარებით. მალე გაწეულ საქმიანობას სხვა სოფლების მოსახლეობასაც გავაცნობთ, მათ წინადადებებსა და პრობლემებს მოვისმენთ.

- მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ გამოწვევებს როგორ პასუხობთ?

- გასული წელი ეკონომიკური და სოციალური, თუნდაც კულტურული მიმართულებებით აღმასვლის წელი იყო. ძირითადი პროექტები ვადების ფარგლებში დასრულდა. ამას წინათ გამართულ აჭარის მთავრობის სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება სოციალურ პროექტებს დაეთმო. ამ მიმართულებითაც სიახლეები გვაქვს. ისეთ პროექტებს დავუდეთ სათავე, რომლებიც მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტში იმუშავებს. ქვეყნის, რეგიონის ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერით გაგრძელდება ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის რეკონსტრუქციის, შუახევის კულტურის ცენტრის შენობის სარემონტო, დაბა შუახევის ცენტრის კეთილმოწყობის, გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით დაბა შუახევსა და 14 სოფელში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობის სამუშაოები. თითქმის მივიწყებას მიეცა მთა ღომა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის უშუალო მხარდაჭერით, დაიწყება წაბლანა-ღომას 7-კილომეტრიან საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის დაგება, მოეწყობა საპიკნიკე ადგილი, დასრულდება სტადიონის მშენებლობა. მთა ჩირუხის მსგავსად, გასართობი ცენტრი გაკეთდება თაგინურზე. რიგი სამუშაოებია გათვალისწინებული რიკიხეთში - «9 აპრილის ხეივანში», ახალ სიცოცხლეს შეიძენს კვირიაულის ცენტრი. მთა შორიდანაა ლამაზი. აქ ცხოვრებას, შრომას რიგი პრობლემები ახლავს, პროგნოზების გაკეთებაც რთულია, სტიქიის შემოტევისთვის მზად უნდა ვიყოთ. ამ მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხებია მობილიზებული.

- რას აკეთებთ იმ ოჯახების დასახმარებლად, რომლებსაც სტიქიის შემოტევის შედეგად საცხოვრისი მოეშალათ?

- აჭარის მთავრობამ სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება მნიშვნელოვნად გაზარდა. გეოლოგების დასკვნის საფუძველზე ხდება იმ ტერიტორიებიდან ოჯახების გაყვანა, რომლებსაც მეწყერი ემუქრება ან ზვავმა დააზარალა. მრავლადაა ოჯახები, რომლებსაც ხანძარმა სახლი, დამატებითი სათავსოები გაუნადგურა. მათაც აჭარის მთავრობა თანხებით ეხმარება, რა თქმა უნდა, გარკვეული რეგულაციების დაცვით: მიმდინარე წლის სოციალური პროგრამებით, 10-მდე ოჯახს, კომისიის დასკვნის საფუძველზე, საცხოვრებელ სახლებს შეუძენთ. მისასალმებელია ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, რომლის თანახმად ფულადი დახმარება ემატება იმ ოჯახების ბავშვებს, რომლებიც სოციალური დახმარებით სარგებლობენ.

- საკრებულოს წევრებმა კიდევ ერთ სასიკეთო წამოწყებას დაუდეთ სათავე - სახელფასო დანაზოგიდან ფონდი შექმენით და გარკვეული კატეგორიის ოჯახებს ეხმარებით...

- ფონდს, რომელიც ერთი წელია, მოქმედებს, საკრებულოში დასაქმებული ხელმძღვანელი პირები ავსებენ. ყოველი თვის ბოლოს, სიღარიბის ზღვარზე მყოფ ოჯახებში სასურსათო პროდუქტები მიგვქონდა. ვიყავით შორეულ ინწკირვეთში, გოგაძეებში, ზამლეთის, ჭვანის, დღვანის, ჭვანის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში. წელს გადავწყვიტეთ, სასურსათო პროდუქტებს ძვირად ღირებული საოჯახო ნივთებიც (ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, მაცივარი) დავამატოთ. საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები აქტიურად ჩაერთნენ საქველმოქმედო ინიციატივაში. შემოსული თანხით შეძენილი სასურსათო პროდუქტები, მაცივარი, სხვა საოჯახო ნივთები ბარათაულის თემში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახს ადგილზე მივუტანეთ. რამდენიმე წელია მუნიციპალიტეტის მერიასთან საქველმოქმედო ფონდი მოქმედებს. საკრებულოს წევრები, აპარატის თანამშრომლები მის შევსებაშიც მონაწილეობენ. ფონდი ხელფასზე დარიცხული თანხის ერთი პროცენტით ივსება.

- მმართველობითი სისტემის განვითარების ცენტრის პროექტის - «ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი ძლიერი დემოკრატიისთვის» ფარგლებში რიგი ღონისძიებები გამართეთ. პროექტის მიზანი?

- სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება, ამომრჩეველსა და მის მიერ არჩეულ საკრებულოს წევრს შორის ეფექტური, ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო საშუალებების და კარგი პროექტის დანერგვა. პროექტის კოორდინატორ კონსტანტინე კიღურაძესთან ერთად, დეპუტატები ამომრჩევლების წინაშე წარვსდექით დაბა შუახევში, ცინარეთში, ჭვანაში. პროექტი გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების GIZ-ის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში სემინარს დავესწარით ბორჯომში, რამაც შუახევისა და ბორჯომის წარმომადგენლობითი ორგანოების ურთიერთობასა და მეგობრობას დაედო სათავე. საქმიანი ურთიერთობები გვაქვს აჭარის მუნიციპალიტეტებისა და ბათუმის წარმომადგენლობით ორგანოებთან. გვიწვევენ და ვიწვევთ სახალხო დღესასწაულებზე, სხვა ღონისძიებებზე.

> ***„აჭარის მთავრობამ სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება მნიშვნელოვნად გაზარდა. გეოლოგების დასკვნის საფუძველზე ხდება იმ ტერიტორიებიდან ოჯახების გაყვანა, რომლებსაც მეწყერი ემუქრება ან ზვავმა დააზარალა. მრავლადაა ოჯახები, რომლებსაც ხანძარმა სახლი, დამატებითი სათავსოები გაუნადგურა. მათაც აჭარის მთავრობა თანხებით ეხმარება, რა თქმა უნდა, გარკვეული რეგულაციების დაცვით***

რა მექანიზმები მოქმედებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის წინააღმდეგ?

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში განმარტა, თუ რა მექანიზმები მოქმედებს, არსებული კანონდებლობით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის წინააღმდეგ. მისი თქმით, ერთ-ერთი მექანიზმის მიხედვით, მოძალადეს მსხვერპლთან მიახლოება 500 მეტრის რადიუსში ეკრძალება. ამასთან, თუკი მსხვერპლი და მოძალადე ერთად ცხოვრობენ, მოძალადეს სახლიდან წასვლის ვალდებულება აქვს იქამდე, ვიდრე შემაკავებელი ორდერის ვადა არ ამოეწურება.

დარახველიძის ინფორმაციით, მსხვერპლის დამატებითი დაცვის მექანიზმია მოძალადის მიმართ გამოწერილი შემაკავებელი ორდერი და ელექტრონული სამაჯური.

„სულ 3 მოწყობილობაა, ერთი სამაჯური და ორი მობილური ტელეფონის მსგავსი აპარატია. მიმღები აპარატები, რეალურად ტელეფონის ფუნქციას ასრულებს, მას 112-თან კავშირი აქვს. სამაჯური მოძალადეს უმაგრდება, მისი უარი არ მიიღება, ეს არის მოცემულობა. სხვა შემთხვევაში, პოლიცია მიმართავს კანონით გათვალისწინებულ იძულებითი ხასიათის ზომებს. მას გადაეცემა ერთი ტელეფონი, მეორე - მსხვერპლს. როცა სამივე მოწყობილობა გააქტიურდება, 112 მათ გადაადგილებას ხედავს, 500-მეტრიანი ბუფერული და 100-მეტრიანი საგანგაშო ზონებია განსაზღვრული, თუკი ამ ზონებში მიახლოება მოხდება, განგაშის სიგნალი ირთვება და 112-ის ოპერატორი იწყებს რეაგირებას. ოპერატორი, პირველ რიგში, მოძალადეს უკავშირდება, რომ ტერიტორია დატოვოს, თუკი ის არ დაემორჩილება, მსხვერპლის გაფრთხილება ხდება. ბუნებრივია, პოლიციაც მყისიერად ერთვება და იღებს უსაფრთხოების შესაბამის ზომებს, შესაძლოა, გამოძიება დაიწყოს. ამ პროგრამაში შესაძლებელია დავიტანოთ მსხვერპლის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი, რომლებთან მიახლოებაც მოძალადეს ეკრძალება. შესაბამისად, ამის კონტროლიც ხორციელდება, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ, - შესაძლებელია, მსხვერპლმა თავშესაფარში გადასვლა მოითხოვოს, მისთვის უკეთესი იყოს ოჯახიდან წამოვიდეს და სახელმწიფოსგან მიიღოს მხარდაჭერა, ამისათვის ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი კრიზისული ცენტრები, შესაბამისი თავშესაფრები გააჩნია, სადაც ბენეფიციარებს იღებენ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევენ, საცხოვრებლით უზრუნველყოფენ და ა.შ. მეორე ვარიანტია - თუ ეს მსხვერპლს არ სურს მოძალადისთვის დავალდებულება ხდება, სახლი დატოვოს. შემაკავებელი ორდერით დაწესებული აკრძალვა, ვალდებულება, მსხვერპლზე მორგებულია“.

ალექსანდრე დარახველიძემ ასევე განმარტა, რას ითვალისწინებს კანონმდებლობა, თუკი მსხვერპლი და მოძალადე ერთად მუშაობენ.

„მუშაობას ვერ ავუკრძალავთ, თუმცა როგორც ვერბალურად, ასევე ელექტრონული საშუალებით კომუნიკაცია იზღუდება. როგორც დაწესდება ორდერით აკრძალვები, იმის მიხედვით მოხდება მისი აღსრულებაც, გააჩნია შემთხვევას, საკითხი ინდივიდუალურია და ადგილზე ხდება გადაწყვეტილების მიღება. მთავარია, მსხვერპლის ინტერესები მოძალადისგან დაცული იყოს. განცდა არის, რომ ორდერი არის მექანიზმი, რომელიც აბსოლუტურ პრევენციას ახდენს, ეს არის ერთგვარი გაფრთხილების დოკუმენტი, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც ხდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. წარმოიდგინეთ, როცა მოძალადეს ორდერს ჩააბარებ, თუ მან პირობები არ დაიცვა და ამის შესახებ პოლიციისთვის ცნობილი არ გახდა, ხომ შეუძლებელია რეაგირება? მნიშვნელოვანია თავად მსხვერპლმა მოგვაწოდოს ინფორმაცია, რომ ორდერის პირობების დარღვევას ჰქონდა ადგილი (ან ნებისმიერმა იმ პირმა, ვინც ფლობს დარღვევის შესახებ ინფორმაციას), ან თუკი მას შიში აქვს, რომ ძალადობა შესაძლოა, განმეორდეს და დაცვა სჭირდება, ბუნებრივია, სამაჯურის მექანიზმი გვაქვს, რომელიც ყველაზე ეფექტურად უზრუნველყოფს დაცვას. მონიტორინგის პროცესი, რომელსაც ჩვენ ორდერის გამოცემის მერე ვახორციელებთ, დიდწილად არის დამოკიდებული პოლიციასთან თანამშრომლობაზე“, - განაცხადა დარახველიძემ.

ამირან გურიელიძე

ვის დასჭირდება მესამე ან მეოთხე დოზით აცრა?

„იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს“ სამედიცინო დირექტორმა, თსსუ-ის პროფესორმა ივანე ჩხაიძემ „ომიკრონის“ ახალ სუბვარიანტზე საუბრისას განაცხადა, რომ თუ კორონავირუსი 2022 წლის ივლისამდე გაქვთ გადატანილი, ჯერ კიდევ შენარჩუნებული გაქვთ მდგრადობა „ომიკრონის“ სუბვარიანტის მიმართ, ასევე თუ ვაქცინირებული ხართ ახალი ბივალენტური ვაქცინით, ან სექტემბრის შემდეგ გაკეთებული გაქვთ „ბუსტერი“, თქვენი დაცვა ამ ვარიანტის წინააღმდეგ მაღალია.

ივანე ჩხაიძის განმარტებით, კორონავირუსის ახალი ქვეშტამი XBB.1.5, ე. წ. კრაკენი „ომიკრონის“ მსგავსია. მას არ ახასიათებს ძალიან მაღალი ტემპერატურა და ძლიერი სისუსტე, ასევე არ მოქმედებს ფილტვებზე. პროფესორის თქმით, ჯანმო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ გვინდა თავი დავიცვათ ამ ქვევარიანტისგან, მესამე ან მეოთხე დოზით უნდა ავიცრათ. ჩხაიძემ ასევე აღნიშნა, რომ ჰოსპიტალიზაციის ძირითადი მაჩვენებელი გრიპზე და არა კორონავირუსზე მოდის. „რთულია იმის პროგნოზირება, რამდენხანს გაგრძელდება ამ ორი ვირუსით ინფიცირების მაჩვენებლის მატება. სავარაუდოდ, მომდევნო 2 თვის განმავლობაში სეზონური ვირუსული ინფექციებით ინფიცირების მაღალი მაჩვენებელი დარჩება“, - აღნიშნა ჩხაიძემ მედიაჰოლდინგ „კვირის“ პრესკლუბში.

ამირან გურიელიძე

კლუბური ნარკოტიკი – „სიბნელეში“ ჩასაფრებული მტერი

„მეგობარს ბათუმის ერთ-ერთ ღამის კლუბში გავყევი. რაც იქ ვნახე, მხოლოდ მძაფრსიუჟეტიან ფილმებში მქონდა აქამდე ნანახი. ყველა კუთხეში თრობისგან თუ კლუბური ნარკოტიკისგან გაბრუებული ახალგაზრდები ეყარნენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ერთმანეთის მოკითხვის თავიც არ ჰქონდათ, ისე უგონოდ და ძალაგამოცლილები იყვნენ. გული მომიკვდა, არც ისე პატარა ასაკის ვარ და მსგავს სიტუაციას არც საზღვარგარეთ, კლუბებში სტუმრობისას შევსწრებივარ. ეს რა ხდება, რაშია გამოსავალი, ვეღარ ვხვდები, ან პოლიცია სად არის ამ დროს? აშკარაა, ყველამ ყველაფერი იცის, მე თუ ვნახე ასეთი სურათი, დავიჯერო, სხვებმა ვერ ნახეს და პოლიციის ყურამდე არ მივიდა?!“ - მიყვებოდა ემოციებისგან აჟიტირებული და ამ ყველაფრის ნახვით შეძრწუნებული მეგობარი. ვუსმენდი და მეგონა, საშინელებათა ჟანრის ფილმს აღწერდა, რომელიც წინა ღამით ნახა.

ყველამ ვიცით, რომ კლუბური ნარკოტიკი, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოშიც, ძალიან პოპულარულია ახალგაზრდებში. ვიცით ისიც, რომ ეს ყველაფერი ძალიან საშიშია, რადგან თრობის და ე. წ. კაიფის „ლომკაში“ მყოფები ხშირად არ აკვირდებიან, რას იღებენ და რისი გამომწვევი შეიძლება გახდეს ესა თუ ის ტაბლეტი მომავალში. ისიც ვიცით და ექიმები სხვადასხვა ეთერის საშუალებით აფრთხილებენ მოსახლეობას, რომ ზოგიერთ კლუბურ ნარკოტიკს ფატალური შედეგის გამოწვევაც შეუძლია. თუმცა, მისი მომხმარებელი თითქმის ყოველთვის ფიქრობს, რომ მას ეს არ დაემართება, როგორც მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც დიდი ხანია კლუბურ ნარკოტიკს მოიხმარს.

- უკვე 7 წელია, ვიღებ კლუბურ ნარკოტიკს, ვცდილობ, სანდო ადამიანებისგან შევიძინო, თორემ ათასი მაიმუნობა ხდება, ოღონდ ფული აიღონ და რას არ სთავაზობენ კლუბში შემოსულ ახალგაზრდებს. მართალი გითხრათ, არ მომწონს, რასაც ვაკეთებ, თუმცა უკვე დამოკიდებული ვარ. არა მგონია, რამე დამემართოს, რადგან მაქსიმალურად ფრთხილად ვარ, თუმცა, სამწუხაროდ, ჩემი მეგობარი დაიღუპა შარშან სწორედ კლუბური ნარკოტიკით. თქვეს, გულის შეტევით გარდაიცვალაო. რა თქმა უნდა, მოვუწოდებ ახალგაზრდებს, ან საერთოდ არ გაეკარონ ნარკოტიკს, ან ძალიან ფრთხილად იყვნენ, - გვითხრა გიგამ (სახელები შეცვლილია) და დასძინა, რომ კლუბურ საშიშ ნარკოტიკზე ხელი ბევრ ახალგაზრდას მიუწვდება, რაც გასაკონტროლებელია.

- ვერ ვიტყვი, რომ ხშირი მომხმარებელი ვარ, მაგრამ კლუბურ გარემოში, ელექტრონული მუსიკის ფონზე, ენერგიას მმატებს, უფრო გამბედავს მხდის. ასევე, მთელი დღის თუ კვირის განმავლობაში დაგროვილი ცუდი ენერგიისგან მცლის. რა თქმა უნდა, ჩემმა მშობლებმა არაფერი იციან. როგორ ფიქრობთ, რომ იცოდნენ, კლუბში გამიშვებენ? ისეთი მკაცრი მამა მყავს, წარმოდგენაც არ მინდა, რა მოხდება, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ რომ მნახოს. ჩემი დაქალებიც იღებენ. ნუ მიყურებთ ასეთი სახით, დამნაშავე კი არ ვარ, რა ვქნა, გართობის ჩემეული აღქმა ამგვარია, - მითხრა ნინომ, რომელმაც ნამდვილად შემატყო გაოცება იმის მოსმენისას, რასაც აქ შეგნებულად არ ვწერ, რომ წამახალისებელი არ აღმოჩნდეს რომელიმე ახალგაზრდისთვის.

ფარმაცევტ ნატა ხიმშიაშვილის თქმით, კლუბური ნარკოტიკები ერთმანეთისგან როგორც ქიმიური შემადგენლობით, ასევე, ფარმაკოლოგიური თვისებებით განსხვავდება და სხვადასხვა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად იცვლება ნივთიერებების შემადგენლობა, უფრო და უფრო რთული ხდება ასობით ახალი შემადგენლობის ნივთიერებების მონიტორინგი.

რამდენად ფლობენ ინფორმაციას კლუბური ნარკოტიკის მასიურ მოხმარებასთან დაკავშირებით, ამის შესახებ ქუჩაში მცირე გამოკითხვა ჩავატარე. პასუხების ნაწილს უცვლელად გთავაზობთ:

დიმიტრი დევაძე: - როგორ არ გამიგია, ისიც ვიცი, რომ არაერთი ახალგაზრდა დაიღუპა ჩვენს ქვეყანაში კლუბური ნარკოტიკის მიღების შემდეგ. საგანგაშოა ეს ყველაფერი და ვფიქრობ, უკონტროლოც გახდა. 19 წლის შვილიშვილი მყავს და გული მისკდება, ხელი არ წაუცდეს ნარკოტიკზე. საშიში გახდა ყოველდღიურობა, მაგრამ გარეთ გასვლას ხომ არ ავუკრძალავთ შვილებს?

ნანა ნაგერვაძე: - ბიძაშვილი მიყვებოდა ერთ-ერთი კლუბის არასასიამოვნო ამბებს. 14-15 წლის გოგო-ბიჭები ეწევიან ათას უბედურებასო, მითხრა. მინდა ვთხოვო ყველა მშობელს, მეტი ყურადღება მიაქციონ შვილებს. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა აკონტროლო, მაგრამ ჩვენი ვალდებულებაა ცოტა მეტი ყურადღება, მეტი დიალოგი მათთან. დედა ვარ და ხმამაღლა ვამბობ, ყოველდღიურ რუტინულ საქმეებში გადართული მშობლები ძალიან დავშორდით შვილებს, აღარ, ან ნაკლებად ვსაუბრობთ მათთან და ეს არ მიგვიყვანს კარგ შედეგამდე. გთხოვთ, მშობლებო, მეტი სითბო და სიყვარული ვაგრძნობინოთ შვილებს. არის ჩვენ შორის აზრთა სხვადასხვაობა და ამის გაგებაც უნდა შევძლოთ. როცა დაინახავენ ისინი, რომ შეგვიძლია მოვუსმინოთ, ვაგრძნობინოთ, რომ მათი მეგობრები ვართ, დამიჯერეთ, ნაკლებად მოუნდებათ ცუდის კეთება. ახალგაზრდები ხომ ძირითადად ჩვენს ჯიბრზე იქცევიან ისე, როგორც იქცევიან... თავისუფლება ცოტა სხვაგვარად აღიქვეს. რას ვიზამთ, შვილებს უნდა გავუფრთხილდეთ, ნამდვილად არ ჰყავს არცერთი დასაკარგი ახალგაზრდა ქვეყანას.

ნიკა კონცელიძე: - მეგობრებთან ერთად დავდივარ კლუბებში, თუმცა ნარკოტიკს არასდროს გავკარებივართ. კლუბში თუ დადიხარ, ეს ნამდვილად არ ნიშნავს, რომ შენც იმ „სექტის“ წევრი ხარ, ვინც აღნიშნულ ნარკოტიკს მოიხმარს. ხშირად შემხვედრიან ჩემი თანატოლები, რომლებიც მოიხმარენ აბებს, ერთ-ერთ მისვლაზე ვიღაც გოგო და ბიჭი ცუდადაც გახდნენ, მეგობრებმა მოაკითხეს და წაიყვანეს. თუ შენ გაცნობიერებული გაქვს, რა ზიანის მომტანია კლუბური ნარკოტიკი, ფლობ სრულ ინფორმაციას, ვფიქრობ, არ უნდა მოგინდეს მისი გასინჯვა. ხშირად, საერთოდ არ აქვთ ინფორმაცია, ისე იღებენ მათი გაგებით რაღაც „ჯადოსნურ“ აბს, რომელიც კარგ ხასიათზე აყენებთ. ამ ყველაფრის გარეშეც არაჩვეულებრივად ვერთობით მე და ჩემი მეგობრები.

> *„ოღონდ ფული აიღონ და რას არ სთავაზობენ კლუბში შემოსულ ახალგაზრდებს. მართალი გითხრათ, არ მომწონს, რასაც ვაკეთებ, თუმცა უკვე დამოკიდებული ვარ. არა მგონია, რამე დამემართოს, რადგან მაქსიმალურად ფრთხილად ვარ, თუმცა, სამწუხაროდ, ჩემი მეგობარი დაიღუპა შარშან სწორედ კლუბური ნარკოტიკით. თქვეს, გულის შეტევით გარდაიცვალაო. რა თქმა უნდა, მოვუწოდებ ახალგაზრდებს, ან საერთოდ არ გაეკარონ ნარკოტიკს, ან ძალიან ფრთხილად იყვნენ“*

გაზეთი „აჭარა“ აღნიშნულ თემაზე კვლავ გააგრძელებს სტატიების გამოქვეყნებას. მიმაჩნია, რომ ნებისმიერ საკითხზე საზოგადოების მეტად ინფორმირება, ნიშნავს პრობლემის დაძლევისკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. ამ ეტაპზე კლუბების დასახელებისგან თავს შევიკავებ, ვთვლი, რომ აღნიშნული სტატიით შესაბამისი უწყებები უნდა დაინტერესდნენ. ბათუმში არც ისე ბევრი ღამის კლუბია, შესაბამისად, ადვილი გასაგებია, რა ხდება შიგნით - „სიბნელეში“.

სტუმარი

„მინდა, ყველა ქალი საქართველოში ბედნიერი, ლამაზი და რეალიზებული იყოს“

ჩვენი სტუმარია კლინიკა „ლაზერ მედის“ წამყვანი ექიმი დერმატო-კოსმეტოლოგი ***თამთა შავიძე,*** *რომელიც წლებია, სილამაზისა და ესთეტიკის ინდუსტრიაში ღირსეულ სიტყვას ამბობს. მისთვის საამაყო და, ამავდროულად, საპასუხისმგებლოა ნდობა, რომელსაც საზოგადოება უცხადებს. მიაჩნია, რომ ამის მიზეზი მომსახურების მაღალი ხარისხი და სტანდარტია, ასევე მეგობრული, უშუალო ურთიერთობები კლინიკაში მისულ თითოეულ ადამიანთან. ბათუმში 5 წლის წინ ჩამოვიდა, თავდაპირველად ღელავდა, არ იცოდა, როგორ მიიღებდა ქალაქი და პირიქით, თუმცა მალევე მიხვდა, რომ ზუსტად იქ იყო, სადაც უნდა ყოფილიყო. ყოველთვის იცოდა, დედის პროფესიას აირჩევდა, რადგან მისთვის დედა იყო და დღემდე რჩება ყველაზე ლამაზ, შრომისმოყვარე, მებრძოლ და მისაბაძ ადამიანად.*

- იყო ექიმი, გრძნობდე პაციენტების სიყვარულსა და ნდობას, ნიშნავს...

- ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის. ბავშვობიდან მქონდა გადაწყვეტილი ექიმობა, ოღონდ რა სპეციალობით, ზუსტად არ მქონდა განსაზღვრული. დედამ და ოჯახის ტრადიციამ, ანუ „ლაზერ მედმა“ იქონია გავლენა და ასე აღმოვჩნდი სილამაზისა და ესთეტიკის საოცარ სამყაროში, სადაც თავს ძალიან კომფორტულად ვგრძობ. ესთეტიკური მედიცინა მაძლევს შესაძლებლობას, წვლილი შევიტანო იმაში, რომ ადამიანები ბედნიერად და თავდაჯერებულად გრძნობდნენ თავს. ჩემი და პაციენტების ურთიერთობა ჩემთვის ნამდვილი ხელოვნება და ენერგიის უშრეტი წყაროა.

- მინდა იმ თვისებაზე ისაუბროთ, რომელიც თქვენს სიძლიერეს უსვამს ხაზს.

- ეს საქმის უკიდეგანო სიყვარულია. მუდმივად ვცდილობ განვვითარდე, წინ წავიდე, სიახლეები შევთავაზო პაციენტებს, გავიარო საზღვარგარეთ ტრენინგ-კურსები და როგორც „ლაზერ მედის“ ერთ-ერთი სლოგანი გვეუბნება, ავუწყო ფეხი დროს. ძალიან მიზანსწრაფული ვარ. მაგალითის მომცემი დედაჩემია, რომელიც მუდმივად, დაუღალავად იბრძვის განვითარებისთვის. მჯერა, რა სირთულეც უნდა შემხვდეს ცხოვრების გზაზე, ყოველთვის მეყოფა ძალა, გადავლახო იგი და გავიმარჯვო.

- თქვენს სოციალურ ქსელს თუ გადავხედავთ, მუდმივად მოგზაურობთ, საკუთარ თავს დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ავსებთ.

- გეთანხმებით, ძალიან მიყვარს მოგზაურობა, ყოველ ჯერზე ვცდილობ, ახალ-ახალი შეგრძნებებით ავივსო. არ მიყვარს რუტინული მოგზაურობა, მხოლოდ დასასვენებლად რომ მიდიან. ძირითადად, საინტერესო თავგადასავლები მიზიდავს, მიყვარს ისტორიული ქალაქების, მათი ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, იქაური კულტურისა და ადათ-წესების სიღრმისეული გაცნობა. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი ფერადი ემოცია დავაგროვო, რათა შემდგომში უფრო ენერგიულად შევუდგე ყოველდღიურ საქმიანობას. ხანდახან აუცილებელია, საკუთარი თავი გაიტყუო ყოველდღიური რუტინიდან და მიიღო შთამბეჭდავი ემოციები. ძალიან ბევრ ქვეყანას მოუხდენია ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება, თუმცა გამოვყოფდი შვეიცარიას, - საოცარი ქვეყანაა, ყოველ ნაბიჯზე რომ აღგაფრთოვანებს.

- რა არის როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული ზრდისთვის აუცილებელი?

- მიზანდასახულობა. მებრძოლი უნდა იყო და შრომისმოყვარე და, რა თქმა უნდა, განათლებაა უპირველესი, რომლის გარეშეც არაფერი გამოვა. თითოეულმა ჩვენგანმა თუ არ ვიზრუნეთ იმ სფეროს განვითარებაზე, რომელშიც ვმოღვაწეობთ, ერთ ადგილზე გავიყინებით. არ უნდა დანებდე არც ერთ გამოწვევას, მოძრაობაშია გზა ხსნისა.

- ბათუმი - თქვენთვის...

- თბილისში დავიბადე და გავიზარდე, ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო ქალაქის შეცვლა, სრულიად სხვა გარემოში ჩამოსვლა. ვშიშობდი, როგორ მიმიღებდა ქალაქი, ხალხი, მე როგორ შევეგუებოდი ამ მნიშვნელოვან სიახლეს. ჩამოვედი თუ არა, ზუსტად ორ თვეში აღმოვაჩინე, რომ ვიყავი იქ, სადაც უნდა ვყოფილიყავი. ბათუმი არის გული. ძალიან მიყვარს საღამოობით ველოსიპედით ბულვარში სეირნობა. როცა თვალებს ვხუჭავ და ველოსიპედს მივაქროლებ ახალი ბულვარის ტერიტორიაზე, სადაც ძალიან ახლოს არის ზღვა და ირგვლივ უამრავი პალმაა, ზუსტად მაშინ ვგრძნობ ბათუმის გულისცემას, სურნელს და ვხვდები, რომ აბსოლუტურად ჩემია ეს ყველაფერი...

- რას უსურვებთ ქალბატონებს?

- ვუსურვებ, მეტი ყურადღება დაუთმონ, მოუარონ და შეიყვარონ საკუთარი თავი ისეთი, როგორებიც არიან. მაშინ უფრო მეტად ლაღები იქნებიან. მინდა ყველა ქალი საქართველოში ბედნიერი, ლამაზი და რეალიზებული იყოს. არასდროს შეწყვიტოთ ბრძოლა, ჩვენში ძალიან დიდი ძალაა, ძალა რომელიც ყველა ბარიერს გადალახავს. ვუსურვებ ყველა ქალბატონს, და არამარტო მათ, წარმატებულ და ბედნიერ წელს.

გვერდი მოამზადა
ნანა აბულაძემ

აჭარაში ზამთრის ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაშია

ხატია იაშვილი 555 18 48 88

რეგიონში ზამთრის ტურისტული სეზონი 25 დეკემბერს გაიხსნა. საქართველოში არსებულ ზამთრის კურორტებს შესაბამისი ინფრასტრუქტურით, 2015 წლიდან აჭარაში მდებარე კურორტი გოდერძიც შეუერთდა, რომელიც უხვთოვლიანია და ამის გამო წლიდან წლამდე პოპულარული ხდება. კურორტი ზღვის დონიდან 2350 მ-ზე მდებარეობს, თბილისიდან 252 კმ-ით, ხოლო ბათუმიდან 109 კმ-ით არის დაშორებული

კურორტზე ორი საბაგირო დამსვენებელს მთელი კვირის განმავლობაში ემსახურება. აქ წარმოდგენილია როგორც საშუალო სირთულის, ასევე, რთული ტრასები. რეგიონში კურორტს ყველაზე გრძელი სათხილამურო ტრასა აქვს, რომლის საერთო სიგრძე 8 კმ-ია. დაშვების ყველაზე გრძელი მანძილი დაახლოებით 4.5 კილომეტრია. დამწყებ მოთხილამურეებს შეუძლიათ ისწავლონ სრიალი მცირე ზომის 150-მეტრიან ტრასაზე.

აქვე, ზამთრის კურორტზე დასვენების გარდა, შეგიძლიათ მოინახულოთ ულამაზესი მწვანე ტბა, სადაც მისვლა შესაძლებელია როგორც მაღალი გამავლობის ავტომობილით, ასევე, საფეხმავლო გზით. ხიხანის ციხე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ციხეა აჭარაში. გადმოცემის თანახმად, ციხეს ბევრი მიწისქვეშა საიდუმლო გზები ჰქონია, რომლითაც ახლომდებარე სოფლებს უკავშირდებოდა. აქვეა პოპულარული მთის კურორტი ბეშუმი თავისი გასაოცარი ბუნებით.

კურორტი გოდერძი უალტერნატივოა ცხელი ზაფხულის დღეებშიც. აქ ფუნქციონირებს როგორც სასტუმროები, ასევე კოტეჯები. სასიამოვნო დღის შემდეგ, კიდევ უფრო ამაღლებული განწყობის შესაქმნელად, შეგიძლიათ დააგემოვნოთ ადგილობრივი კერძები და სასმელი, გადაიღოთ შთამბეჭდავი ფოტოები.

როგორ მიმდინარეობს აჭარაში ზამთრის ტურისტული სეზონი და რა სიახლეებს უნდა ველოდოთ? ამაზე აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი **თინათინ ზოიძე** საუბრობს.

„ბათუმსა და რეგიონში თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლის პანდემიამდე არსებული სტატისტიკური მონაცემები სრულად აღდგა ვიზიტების თვალსაზრისით. რაც შეეხება ზამთრის ტურისტულ სეზონს, როგორც ქალაქი, ასევე მუნიციპალიტეტები, აქტიურად ემზადებოდნენ ამისთვის. კურორტი გოდერძი, რომელიც თავისუფალი სტილის მოთხილამურეებისთვის არის მიმზიდველი, ვიზიტიორებს სთავაზობს ძალიან ბევრ სიახლეს

- ვიდრე ზამთრის ტურისტულ სეზონზე ვისაუბრებთ, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის რეგიონისთვის და ზოგადად, ჩვენი ქვეყნისთვის გასული წლის ტურისტული სეზონი იყო წარმატებული. პანდემიისგან გამოწვეული პრობლემების მიუხედავად, ტურიზმის სექტორმა სახელმწიფოსთან ერთად, დაგეგმილ პროექტებს კარგად გაართვა თავი. ბათუმსა და რეგიონში თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2019 წლის პანდემიამდე არსებული სტატისტიკური მონაცემები სრულად აღდგა ვიზიტების თვალსაზრისით. რაც შეეხება ზამთრის ტურისტულ სეზონს, როგორც ქალაქი, ასევე, მუნიციპალიტეტები, აქტიურად ემზადებოდნენ ამისთვის. კურორტი გოდერძი, რომელიც თავისუფალი სტილის მოთხილამურეებისთვის არის მიმზიდველი, ვიზიტიორებს სთავაზობს ძალიან ბევრ სიახლეს. კურორტს უკვე აქვს მაღალი კლასის სასტუმროები, ადგილზე განთავსების ობიექტებს დაემატა ბევრი საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლი. ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება დაბა ხულოდან გოდერძიმდე მიმავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარკვეულ მონაკვეთზე უკვე დაიგო ასფალტის საფარი. სამუშაოები აჭარის მთავრობის კოორდინირებით, აქტიურად მიმდინარეობს. გზა არის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი და მთავარი გამოწვევა, რაც ამ ეტაპზე რჩება. თუმცა, ამ წლისთვის ანონსდება პრობლემის სრულად გადაჭრა. ეს იქნება ახალი სიცოცხლე კურორტ გოდერძისთვის, რაც ვიზიტიორს მისცემს მარტივად გადაადგილების საშუალებას, - აღნიშნა თინათინ ზოიძემ.

ვისაც ჯერ კიდევ არ გადაგიწყვეტიათ, სად დაისვენოთ ზამთრის სუსხიან დღეებში, გეტყვით, რომ კურორტ გოდერძიზე ღამისთევა კოტეჯებში 100-150 ლარი ღირს, საოჯახო სასტუმრო სახლებში 40 ლარი - ორჯერადი კვებით. ადგილზე ფუნქციონირებს რესტორანი, სადაც შესაძლებელია სასურველი მენიუს შეკვეთა. საბაგიროთი სარგებლობის ფასი ერთ ასვლაზე 5 ლარია, მთელი დღე - 20 ლარი ღირს. თხილამურები, ციგა, სნოუბორდის ქირაობა 1 საათით - 5 ლარია მთელი დღე - 20 (არ შედის ტანსაცმელი, სათვალეები, ქუდი, ხელთათმანები), ინსტრუქტორის ქირაობა ერთი საათით 20 ლარია.

მარტივად როგორ მოვხვდეთ კურორტ გოდერძიზე?

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: ბათუმი-ხულო (09:00 - 18:00 საათამდე ყოველ საათში, ფასი 5 ლარი),

ბათუმი-დანისპარაული ყოველდღე: (11:15 / 15:10 სთ. ფასი: 7 ლარი) ხულო-დანისპარაული ყოველდღე: (13:00 სთ.),

საზოგადოებრივი ტრანსპორტი გადის ბათუმის ავტოსადგურიდან, მის: მაიაკოვსკის ქ.№10. (+995 (422) 27 85 47),

უკან დაბრუნდებით ხულოს ავტოსადგურიდან (ტელ : +995 (423) 27 00 95 / 593 26 60 08).

ხულოს ცენტრიდან სამარშრუტო ტაქსით ყოველდღე სრულდება უფასო ტრანსფერი კურორტ გოდერძის მიმართულებით: ხულოდან გასვლის დრო: 10:00 სთ, კურორტ გოდერძიდან დაბრუნება: 16:00 საათზე. შესაძლებელია კერძო (ორხიდიანი გამავლობის) ტრანსპორტის დაქირავება როგორც ხულოს ცენტრიდან, ასევე ბათუმიდან და ქობულეთიდან. მაღალი გამავლობის მანქანის დაქირავება ბათუმიდან კურორტ გოდერძიმდე დაახლოებით 250-300 ლარია, ხულოდან - გოდერძიმდე - 60-70 ლარი.

ბედნიერ დასვენებას გისურვებთ!

უკრაინა

დნიპროში ტერორისტების სარაკეტო დარტყმის შედეგად დაღუპულთა სიაში ამ დროისთვის 30 ადამიანია, მათ შორის, ერთი ბავშვი - გოგონა, ის 15 წლის იყო. ჩვენ ვიბრძვით თითოეული ადამიანისათვის! სამაშველო ოპერაცია გაგრძელდება მანამ, სანამ სიცოცხლის გადარჩენის უმცირესი შანსიც არსებობს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, თავდასხმის შემდეგ უკრაინამ მოისმინა სამძიმრის და მხარდაჭერის სიტყვები მრავალი ლიდერისგან, საზოგადო მოღვაწისგან, ჟურნალისტისა და რიგითი მოქალაქეებისგან მთელი მსოფლიოდან. „მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გულგრილი არ დარჩენილა! ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნორმალური ადამიანები გაერთიანდნენ ტერორის საპასუხოდ“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მან რუსებს მიმართა და გააფრთხილა, რომ მათი დუმილი იმაზე, რაც ხდება, იმით დასრულდება, რომ იგივე ტერორისტები ერთ დღეს მათთანაც მივლენ.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარი საზოგადოებას მოუწოდებს, არ გაავრცელონ გადაუმოწმებელი ინფორმაცია სოლედარისთვის ბრძოლების შესახებ.

„ახლა ბევრი ცდილობს სოლედარისთვის მიმდინარე ბრძოლების თემის მიმართ მაღალი ინტერესი სათავისოდ გამოიყენოს და მისი საშუალებით პოპულარობა მოიპოვის, ან ფული იშოვოს“, - აღნიშნა მალიარმა. მან მოუწოდა საზოგადოებას, არ გაავრცელონ ინფორმაცია უკრაინელი სამხედროების გადაადგილების, ადგილმდებარეობის შესახებ, რადგან ამას სარგებელი მოაქვს მოწინააღმდეგისთვის და ზიანს აყენებს უკრაინელ დამცველებს. მისი თქმით, სოლედარში არსებული ვითარება მოკლედ შემდეგი ფრაზით შეიძლება დახასიათდეს: „ბრძოლა გრძელდება“.

* * *

აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა უკრაინული ძალების გაფართოებული, უფრო დახვეწილი საწვრთნელი პროგრამა დაიწყო, რომლის მიზანია გააძლიეროს უკრაინის შესაძლებლობა, რათა ქვეყანამ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია დაიბრუნოს, - ამის შესახებ აშშ-ის გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელმა, გენერალმა მარკ მილიმ განაცხადა. მისი თქმით, სწავლება გერმანიაში, გრაფენვიორის საწვრთნელ ბაზაზე დაიწყო. „ჩვენ გვინდა, რომ უკრაინელებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, წარმატებით დაიცვან თავიანთი ქვეყანა. უკრაინა მხოლოდ და მხოლოდ თავს იცავს და ცდილობს გაათავისუფლოს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორია“, - აღნიშნა გენერალმა მარკ მილიმ. მისი თქმით, წვრთნები რამდენიმე კვირის განმავლობაში გაგრძელდება. „ამას გარკვეული დრო დასჭირდება, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა კვირა, არავინ იცის. ვნახოთ, რა მოხდება. მაგრამ კრიტიკულობის თვალსაზრისით, ამ წვრთნების საჭიროება ახლავე არსებობს“, - აღნიშნა გენერალმა მარკ მილიმ.

* * *

„პუტინის შეჩერება შეუძლია ძლევამოსილ ჯარს, შესაბამისი შეიარაღებითა და შესაბამისი მოტივაციით. ეს შეუძლია უკრაინის ჯარს“, - ამბობს ბილ ბროუდერი მსოფლიოში ცნობილი „მაგნიტსკის აქტის“ თანაავტორი და ფინანსისტი. ბროუდერი პუტინის ხელისუფლებასთან ბრძოლის მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტის ერთადერთი მიზანი ძალაუფლების შენარჩუნება და საკუთარი თავის გადარჩენაა.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ კიევი შეეცდება, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიიღონ რეზოლუცია, რომელიც თავის თავში მოიცავს უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის 10-პუნქტიან მშვიდობის ფორმულას. „უკრაინის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ნომერ პირველი პრიორიტეტი თებერვალში რეზოლუციის მშვიდობის ფორმულისთვის მიძღვნა იქნება“, - უთხრა ემინე ჯაფაროვამ ჟურნალისტებს გაეროში ყოფნის დროს, სადაც ის უსაფრთხოების საბჭოს სხდომას დაესწრო. თებერვალი უკრაინისთვის მნიშვნელოვანი თვეა. 24 თებერვალს ზუსტად ერთი წელი შესრულდება, რაც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ბრძანებით, რუსეთის ჯარები უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და სრულმასშტაბიანი ომი დაიწყეს მეზობელ ქვეყანასთან. ნოემბერში პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ 10-პუნქტიანი მშვიდობის გეგმა წარადგინა, რომელიც მისი აზრით, ომის დასრულებას ხელს შეუწყობს.

* * *

აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა, რომელიც სტენფორდის უნივერსიტეტში ჰუვერის ინსტიტუტს ხელმძღვანელობს, „ამერიკის ხმის“ უკრაინულ რედაქციას განუცხადა, რომ შეერთებული შტატები გვერდში უდგას უკრაინას და ეხმარება მას, თუმცა მეტი უნდა გააკეთოს, რათა უკრაინამ რუსეთის აგრესია მოიგერიოს. ამის მაგალითად რაისს მოჰყავს ის საჭიროება, რომლის განსაზღვრაც რამდენიმე თვის წინ რთული არ იქნებოდა, კერძოდ, უკრაინისთვის საჰაერო თავდაცვის მეტი სისტემების მიწოდება იმისთვის, რომ რუსეთის მიერ სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა აღკვეთილიყო. ყოფილი სახელმწიფო მდივანი დასავლეთს მოუწოდებს, წინმსწრებად იმოქმედოს და უკრაინას მისცეს ის, რაც მას ყველაზე მეტად სჭირდება. რაისის თქმით, უკრაინა არ ითხოვს ამერიკული ჯარების დახმარებას. „იქ უკრაინელები იბრძვიან და იტანჯებიან საერთაშორისო სისტემის შესანარჩუნებლად, რომელიც არ ეგუება პატარა მეზობელზე სამხედრო ძალით თავდასხმას“, - ამბობს იგი. შეკითხვაზე, მიიჩნევს თუ არა, რომ 2008 წელს ბუქარესტის ნატოს სამიტზე შეცდომა იქნა დაშვებული, როცა საქართველოს და უკრაინას წევრობის სამოქმედო გეგმაზე უარი ეთქვათ, რაისმა თქვა, რომ შეერთებული შტატები ამას ითხოვდა, მაგრამ კონსენსუსზე დაფუძნებულ ნატოს ამ საკითხზე ერთიანი პოზიცია არ ჰქონდა. ამიტომაც ვაშინგტონმა ბუქარესტში შემდეგი საუკეთესო შედეგი უზრუნველყო, რომ ეს ქვეყნები მომავალში ალიანსის წევრები გახდებოდნენ. ახლა კი, მისი თქმით, „პუტინმა მიაღწია იმას, რომ უკრაინა ნატოს უფრო მეტად დაუახლოვდა არა როგორც წევრი, არამედ ბენეფიციარი ყველაფერ იმისა, ჯარების გამოკლებით, რისი მიწოდებაც ნატოს შეუძლია“.

მოამზადა ნაირა ფუტკარაძემ

თენგო დოლიძე: ოსკარის მსგავსად, მეც ვწერ წერილებს ღმერთისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

გაზეთ „აჭარის“ მკითხველს მინდა წარვუდგინო ახალგაზრდა, რომელსაც, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი ადამიანი იცნობს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ინტერვიუ მოგცემთ საშუალებას, სულ სხვა კუთხით გაიცნოთ იგი

თენგო დოლიძე *აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე და კოლეჯში „ბლექსი“ მიწვეული ლექტორია. ის ასევე გახლავთ Forbes Georgia 30 UNDER 30 მედია-მარკეტინგის კატეგორიის გამარჯვებული, წიგნების: „მე და ილუზია“, „მე“ ავტორი, მუშაობს მესამე წიგნზეც, რომელსაც „სუნთქვა“ ერქმევა. მუდმივად ორიენტირებულია განვითარებაზე და თვლის, რომ ადამიანმა არცერთი წუთით არ უნდა შეწყვიტოს ფიქრი და ბრძოლა უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.*

- უნდა მოვსულიყავი ამ ქვეყნად, რათა....

- მეგრძნო, რას ნიშნავს იყო საუკეთესო დედის შვილი, გავმხდარიყავი მეგობარი, ნათლია, გამომეცადა თავისუფლება, ქართველობა, ზღაპრულად ლამაზ ქალაქში ცხოვრების შესაძლებლობა...

- ბავშვობისდროინდელი მოგონება, რომელიც სულ გდევთ?

- დილაობით „ყიყლიყოს“ (კვერცხიანი პური) სურნელი და ბებოს შეძახილი მაღვიძებდა: „ბები, ადექი, სკოლაში დაგაგვიანდება“, მერე იწყებდა ქუსლიანი ფეხსაცმლით სწრაფად სიარულს... სხვა, მასთან დაკავშირებულ უამრავ ტკბილ მოგონებასთან ერთად, ის დილაც ძალიან მიყვარს.

- გამეორება რომ შეიძლებოდეს...

- ყოველთვის ვცდილობ, სავსე ცხოვრებით ვიცხოვრო. ეს მეხმარება, ბოლომდე შევიგრძნო ყველაფერი ის, რაც ჩემ ირგვლივ მოცემულ მომენტში ხდება და ვარ ბედნიერი. გამეორება რომ შეიძლებოდეს, რიგაში ცხოვრების პერიოდს გავიმეორებდი, ალბათ, დროს, როდესაც გაცვლითი პროგრამის მეშვეობით ტურიბას ბიზნესის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. სწორედ იქ დაიწყო ჩემი „გარდატეხა“.

- კადრი, რომელსაც ყველაზე ხშირად ხედავთ წარმოსახვაში?

- როგორ მეძახის შვილი მამას.

- ბედნიერი ხართ, როცა...

- ვსუნთქავ, ვხედავ, დავდივარ, ვეხები, ვგრძნობ, ვლოცულობ, მიყვარს. როცა სახლში ვარ, ვმუშაობ, როცა ვწერ... იმ ყველაფრით ვარ ბედნიერი, რაც თითქოს ჩვეულებრივიც, სინამდვილეში კი ნამდვილი სასწაულია.

- როგორ უნდა ვიპოვოთ ადამიანებმა ბედნიერების მიზეზი ყოველდღიურ ცხოვრებაში?

- დეტალებზე დაკვირვებით. ბედნიერება შეგიძლია იპოვო იქ, სადაც ხარ. იგი ყველგანაა. ბედნიერებაა: შეყვარება, მუცლის ატკივებამდე სიცილი, როდესაც სუპერმარკეტში რიგი არაა, საყვარელი სიმღერის რადიოში „დაჭერა“, საწოლში ნებივრობა და გარეთ წვიმის ხმის მოსმენა, საუბარი საინტერესო ადამიანთან, ზღვის სანაპიროზე სეირნობა, შარშანდელი 50-ლარიანის აღმოჩენა პალტოს ჯიბეში, საკუთარ თავზე სიცილი, შემთხვევით ყურის მოკვრა საუბარზე, როცა შენზე სასიამოვნო რაღაცებს ამბობენ, დროის გატარება ძველ მეგობრებთან, მომხიბლავი უცნობის მზერა, ძველ ნაცნობთან შევლა და იმის გაცნობიერება, რომ ზოგი კარგი რამ არასდროს იცვლება, სიხარულის ემოცია სხვის სახეზე, როდესაც ის შენს საჩუქარს ხსნის, იმ ადამიანის უეცარი დანახვა, ვინც ძალიან გენატრებოდა...

- როგორ ახერხებთ თვითმოტივაციას?

- საკუთარ თავთან საუბრით, მუდმივად იმის შეხსენებით, რომ თუ ჩემი მიზნებისთვის ყოველდღე ვიშრომებ, უკეთესი ცხოვრება მექნება და, რაც მთავარია, ამან შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს ჩემ ირგვლივ მყოფებზე.

- რა არის სიყვარული, როგორი ფერი და სურნელი აქვს მას?

იხ. მე-8 გვ.

„ევროპული კომისია და ევროკავშირის ქვეყნები შეაფასებენ საქართველოს პროგრესს“

„ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველოს ამ პროცესში დავეხმაროთ, ვიმედოვნებთ წარმატებულ შედეგს წლის ბოლოს“, - განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ საკანონმდებლო ორგანოში კომიტეტების თავმჯდომარეებთან შეხვედრის შემდეგ.

ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის თქმით, საქართველოს პარლამენტში შეხვედრებისას სხვადასხვა კომიტეტის თავმჯდომარეებთან ევროკავშირის 12 პრიორიტეტის განხორციელების, ისევე როგორც ქვეყნის ევროპულ სტანდარტებთან და პრინციპებთან დაახლოების საკითხი განიხილა.

„ნება მომეცით, ყველა ქართველსა და ქართულ ოჯახს ყოველივე საუკეთესო ვუსურვო - ძალიან წარმატებული, ბედნიერი ახალი წელი არა მხოლოდ საქართველოსა და ქართული ოჯახებისთვის, არამედ ქვეყნისთვის, მის ევროკავშირის წევრობის გზაზე. ვიმედოვნებ, 2023 ძალიან კარგი, წარმატებული წელი იქნება არა მხოლოდ ყველა ქართველისთვის, არამედ ევროკავშირისთვისაც. ძალიან დატვირთული დღე მქონდა საქართველოს პარლამენტში. შევხვდი რამდენიმე საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს. აღსანიშნავია, რომ ყველა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შესაძლებლობა მექნება. შეხვედრები ევროინტეგრაციის კომიტეტით დავიწყე. შევხვდი საგარეო ურთიერთობათა, ადამიანის უფლებათა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეებს. განვიხილეთ ე. წ. 12 პრიორიტეტის განხორციელებასთან დაკავშირებული მიმდინარე სამუშაოები და, უფრო ზოგადად, საქართველოს ევროპულ სტანდარტებთან, პრინციპებთან დაახლოება განვიხილეთ, რადგან ამ წლის დასასრულს, ჯერ ევროპული კომისია და შემდეგ ევროკავშირის წევრი ქვეყნები შეაფასებენ საქართველოს პროგრესს და გადაწყვეტენ შემდგომ ნაბიჯებს საქართველოს ევროკავშირის წევრობის მისწრაფებასთან დაკავშირებით. როგორც ევროკავშირის ელჩი საქართველოში, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველოს ამ პროცესში დავეხმაროთ. ვიმედოვნებთ წარმატებულ შედეგს წლის ბოლოს, დადებითი შედეგი ნიშნავს საქართველოს მორიგ ნაბიჯს ევროკავშირში წევრობისკენ, რაც კანდიდატის სტატუსის მოპოვებაა. ჩვენ არა მხოლოდ ვიმედოვნებთ, არამედ მზად ვართ დავეხმაროთ როგორც საქართველოს მთავრობას, ისე ყველა სამუშაო პროცესს, რომელიც პარლამენტში მიმდინარეობს“, - განაცხადა ჰერჩინსკიმ.

ამირან გურიელიძე

როგორ გავუმკლავდეთ ზამთრის დეპრესიას?

სეზონური აფექტური დაავადება

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ცივი დღეები, გრძელი ღამეები, უღიმღამო ნაცრისფერი ცა, ავდარი, მზისა და სინათლის ნაკლებობა ბევრ ადამიანს ისე თრგუნავს, რომ ყოველდღიურ საქმიანობაშიც კი ხელს უშლის. ასეთ მდგომარეობას სეზონურ აფექტურ დაავადებას უწოდებენ, ზოგჯერ ზამთრის დეპრესიითაც მოიხსენიებენ

სეზონური აფექტური დაავადების სიმპტომები დეპრესიის სიმპტომებს ჰგავს, თუმცა, მისგან განსხვავებით, სეზონთან კავშირი ახასიათებს - გამოჩენა-გაქრობა წლის ერთსა და იმავე დროის მონაკვეთს უკავშირდება. იგი მწვავდება შემოდგომის მიწურულს ან ზამთრის დასაწყისში, გაზაფხულის დადგომასთან ერთად კი უკან იხევს.

ადამიანი ამ დროს უხალისოდ, უენერგიოდ გრძნობს თავს, უსაფუძვლოდ შფოთავს, უჭირს გადაწყვეტილებების მიღება, გაღიზიანებულია, სულ ეძინება, ადვილად იღლება, მიირთმევს ტკბილეულს და იმატებს წონაში. ბევრი უარს ამბობს სოციალურ ურთიერთობებზე, საყვარელ საქმიანობაზე. იშვიათად, სეზონური აფექტური დაავადება ზაფხულშიც მწვავდება. ამ ფორმას ზაფხულის დეპრესიას უწოდებენ. მისთვის, პირიქით, უძილობა, უმადობა, წონის კლება, შფოთვა და მოუსვენრობაა დამახასიათებელი.

სეზონური აფექტური დაავადების რისკფაქტორებია:

სქესი - ამ დაავადებით ქალები მამაკაცებზე მეტად იტანჯებიან, ისედაც ხომ ქალებს დეპრესიისადმი უფრო ძლიერი მიდრეკილება ახასიათებთ (4-ჯერ მეტად);

გეოგრაფიული მდებარეობა - იქ, სადაც ზამთრის დღეები უფრო მოკლეა, სეზონური დეპრესიის რისკიც უფრო მაღალია;

ოჯახური ანამნეზი - თუ ადამიანს ჰყავს ახლო ნათესავი რომელიმე ტიპის დეპრესიით, მასაც მაღალი ექნება სეზონური აფექტური დაავადების რისკი;

პირადი ანამნეზი - თუ ადამიანს ანამნეზში დეპრესია ან ბიპოლარული აშლილობა აღენიშნება, შესაძლოა, სეზონური სიმპტომები გაუმწვავდეს.

სეზონური აფექტური დაავადების განვითარებაში რამდენიმე ფაქტორი მონაწილეობს: შემოდგომაზე და ზამთარში დეპრესიის მიზეზად შესაძლოა იქცეს მზის სხივების ნაკლებობა. ამ დროს ირღვევა ორგანიზმის ცირკადული რიტმი - ე. წ. შინაგანი საათი. მცირდება სეროტონინის გამოყოფა (განწყობის განმსაზღვრელი ჰორმონი). ირღვევა ძილის რეჟიმსა და განწყობაზე მოქმედი კიდევ ერთი ჰორმონის - მელატონინის ბალანსიც. უკვე გამოიკვლიეს, რომ D ვიტამინის და სეროტონინის დონეებს შორისაც არის კავშირი. მზის სინათლის ნაკლებობის გამო ზამთარში D ვიტამინის გამომუშავება შემცირებულია, რაც სეზონური აფექტური დაავადების გამწვავებას უწყობს ხელს.

სეზონური აფექტური დაავადების დიაგნოსტიკისთვის აზუსტებენ სიმპტომების აღმოცენების დროს, აფასებენ მათ სიმძიმეს და ყოველდღიურ საქმიანობაზე გავლენას, ითვალისწინებენ ძილისა და ქცევის რეჟიმს, აზროვნებისა და ქცევის ცვლილებებს, არკვევენ, ხომ არ ჰყავს პაციენტს დეპრესიის ან ბიპოლარული დაავადების მქონე ახლო ნათესავი, ემთხვევა თუ არა სიმპტომების აღმოცენება და გაქრობა წლის განსაზღვრულ პერიოდს.

სეზონურ აფექტურ დაავადებებს მკურნალობენ ფსიქოთერაპიით, მედიკამენტებით, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ თუ პაციენტს ანამნეზში ბიპოლარული დაავადება აქვს, სინათლით თერაპიამ ან ანტიდეპრესანტებმა შესაძლოა მდგომარეობა დაუმძიმოს.

ფსიქოთერაპია, რომელიც განწყობისა და ქცევის შეცვლისკენაა მიმართული, შედეგიანია სეზონური აფექტური დაავადების დროს, ზოგჯერ უფრო მეტადაც, ვიდრე სინათლით ან ანტიდეპრესანტებით მკურნალობა. კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის კურსი მოიცავს ინდივიდუალურად შერჩეულ აზროვნებით და სუნთქვით ვარჯიშებს. ის ადამიანს ეხმარება უარყოფითი შეგრძნებების გაცნობიერებასა და მართვაში, განსაზღვრულ პირობებში რეაქციების კონტროლში.

როცა სიმპტომები განსაკუთრებით მძიმეა, ინიშნება ანტიდეპრესანტები, სეროტონინის უკუმიტაცების შერჩევითი ინჰიბიტორები, რაც ამცირებს ორგანიზმში სეროტონინის დონეს. ეფექტი ზოგჯერ რამდენიმე კვირაში ვლინდება.

ფიტოთერაპიას (სინათლის თერაპიას) 1980 წლიდან იყენებენ სეზონური აფექტური დაავადების სამკურნალოდ. მისი მიზანი დღის სინათლის დეფიციტის ანაზღაურებაა. ფიტოთერაპიის შედეგად იმატებს თავის ტვინში განწყობაზე პასუხისმგებელი ქიმიური ნაერთების დონე და აღდგება ორგანიზმის ცირკადული რიტმი. ამისათვის გამოიყენება სანათი მოწყობილობა, რომლის სინათლეც ოთახის განათებაზე ორჯერ კაშკაშაა, თუმცა ულტრაიისფერ სხივებს არ შეიცავს, ამიტომ კანსა და თვალებს არ წვავს. ასეთი სეანსის ჩატარება რეკომენდებულია ყოველდღიურად, გაღვიძებიდან მცირე ხნის შემდეგ, 30-60 წუთის განმავლობაში. საღამოს 5 საათის შემდეგ ის არ ტარდება, რათა ჩაძინებას არ შეუშალოს ხელი.

სეზონური აფექტური დაავადების ეფექტური მართვისთვის მსოფლიო ფსიქოლოგები შემდეგ რჩევებზე თანხმდებიან:

რაც შეიძლება მეტი დრო გავატაროთ დღის სინათლეზე - სამუშაო კუთხე მოვაწყოთ ფანჯრის ახლოს, ვისეირნოთ დღის საათებში, მივდიოთ ზამთრის სპორტს, ვინაიდან მზის სხივების ნაკლებობა სეზონური აფექტური დაავადების ერთ-ერთი მიზეზია.

ვიკვებოთ ჯანსაღად - ჭარბად არ მივიღოთ კალორიები, ვერიდოთ შაქრითა და ცხიმით მდიდარ პროდუქტებს, უპირატესობა მივანიჭოთ სეზონურ ხილს და ბოსტნეულს.

მეტი დრო გავატაროთ ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ერთად - ეს შესანიშნავი საშუალებაა სოციალური დისტანცირებისგან თავის დასაღწევად.

ვიყოთ ფიზიკურად აქტიურები - ეს დეპრესიასთან გამკლავებაში დაგვეხმარება, შევადგინოთ წინასწარ აქტივობათა გეგმა და მომზადებული დაველოდოთ ზამთარს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აინაწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 16/01/23, 20 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ეთერ ხალვაში მალე საკუთარი პროექტებითაც გაგვახარებს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სოლისტი ეთერ ხალვაში, რომელიც ძლიერი და ლამაზი ხმით გამოირჩევა, ერთ-ერთი წარმატებული მომღერალია არამხოლოდ საქართველოში. მას ურთულესი პარტიების შესრულებას ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყნის საოპერო თეატრები ანდობენ, ამიტომ ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო კონცერტებსა თუ სპექტაკლებში



მეცოსოპრანო ეთერ ხალვაშმა ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის მუსიკალური კოლეჯი, შემდეგ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია და ამავე კონსერვატორიის მაგისტრატურა დაამთავრა. წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა სცენაზე როგორც საქართველოში, ისე ევროპის ქვეყნებში. იმყოფებოდა საოპერო ტურნეთი ავსტრიაში, გერმანიასა და შვეიცარიაში, სადაც ვერდის ოპერა „ბალ-მასკარადში“ ურლიკას პარტიას ასრულებდა... ასევე წარმატებული იყო მისი გამოსვლა ბათუმისა და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრებში, ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში, რუმინეთის ქალაქ ბრაშოვის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ზალცბურგის კომპანია „D,Opera italiana di Milano“-ში. ნამღერი აქვს რუსეს (ბულგარეთი) ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ავსტრიის შთაინერის სახელმწიფო, ასევე გერმანიის, შვეიცარიის სახელმწიფო თეატრებსა და ციურიხის საკონცერტო დარბაზში.

2000-2004 წლებში ეთერ ხალვაში რევაზ ლაღიძის სახელობის სტიპენდიატი გახლდათ. 2013 წელს იტალიის ქალაქ პეზაროს აკადემიის პროფესორ ალა სიმონიშვილთან გაიარა მასტერკლასი, ხოლო 2019 წელს მსოფლიო ბანთან ორლინ ანასტასოვთან - ვერდის „ტრუბადურიდან“ აზუჩენას პარტიაზე. იგივე პარტია გერმანიაში, მიუნჰენის ოპერის თეატრში შეასრულა. არის ლადო ათანელის კონკურსის დიპლომანტი.

მას შესრულებული აქვს არაერთი ურთულესი და დასამახსოვრებელი პარტიები, მათ შორის, მასკანის „სოფლის ღირსებაში“ (დედა ლუჩია), ვერდის „რიგოლეტოში“ (მადალენა), ასევე „ბალ-მასკარადში“ (ურლიკა), ფალიაშვილის „დაისში“ (ნანო), ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“ (ძიძა), ვიქტორ დოლიძის და სხვა კომპოზიტორების ოპერებში.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე შესრულებული აქვს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია, მოცარტის „მითრიდატეში“ ფარნაჩეს და „ფიგაროს ქორწინებაში“ მარცელინას პარტიები, იმღერა ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ სპექტაკლში „ერთი თბილისური ამბავი“, მენდელსონის „ზაფხულის ღამის სიზმარში“, რომლებსაც დირიჟორობდნენ ჯან ლუკა მაჩიანო, ვახტანგ კახიძე, ნიკოლოზ რაჭველი...

.2017 წელს იტალიის ქალაქ მილანში წარმატებით გამოვიდა ჯუზეპე ვერდის ოპერა „ბალ-მასკარადში“. 2019 წელს თბილისის რუსთაველის სახელმწიფო თეატრში ზაზა მარჯანიშვილის მედია-ოპერა „თაბაშირის იუდა“ გაიმართა, სადაც მან მეზობლის პარტია შეასრულა. ამავე წელს, ივლისში, ბათუმის დრამატულ თეატრში გენუის მუსიკოსთა საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმის ცის ქვეშ“ ჩატარდა, სადაც ვერდის ოპერა „ტრუბადურიდან“ აზუჩენას კუპლეტები იმღერა.

ბათუმში ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობს. როგორც ამბობს, მის კარიერაში 2017 წელს დიდი გარდატეხა მოხდა. მილანში მოსმენაზე მიიპატიჟეს. მართალია, ეს ზალცბურგის პროექტია, მაგრამ დგამენ მხოლოდ იტალიურ ოპერებს და შემდეგ ამ დადგმებით მიემგზავრებიან ევროტურნეში, რომელიც მოიცავს გერმანიას, შვეიცარიას, ავსტრიას, რუმინეთს, ბულგარეთს... პასუხს არც კი დაელოდა, რადგან ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მიანიშნა, რომ ჯგუფში აიყვანეს ჯუზეპე ვერდის „ბალ-მასკარადიდან“ ურლიკას პარტიაზე. ეს ოპერა რუმინეთის სახელმწიფო თეატრში სამი თვის განმავლობაში იდგმებოდა. შემდეგ დაიწყო დიდი ევროპული ტურნე, თითო ქვეყანაში ოთხ-ოთხი სპექტაკლით. ეს მისთვის, კონსერვატორიის შემდეგ, უდიდესი გამოცდილება იყო. ამბობს, რომ იქიდან სულ სხვა ადამიანი ჩამოვიდა.

- რაც უნდა არიები ისწავლო (საკონცერტო შესრულებით), როცა უშუალოდ სპექტაკლში მონაწილეობ, ეს სულ სხვა შეგრძნებაა. ყველაფერი კულისებში რჩება და სცენაზე გადიხარ ის პერსონაჟი, ვისაც ასრულებ. 2017 წელს ხუთ ქვეყანაში 36 სპექტაკლი გავმართეთ. შემდეგ ციურიხში ისევ მიმიწვია იტალიურმა კომპანიამ. იცით, იქ რა ხდება? ყველგან - სცენაზეც და კულისებშიც დედოფალი ხარ, - გვითხრა ქალბატონმა ეთერმა.

ტურნეში ყოფნისას ერთი ძალიან სერიოზული სააგენტოს აგენტმა კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა. ეს იყო კოვიდ-პანდემიის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, მაგრამ... 2019 წელს ისევ მილანში გახლდათ მოსმენაზე და ისევ წარმატება - კვლავ დაამტკიცეს როლზე „ტრუბადურში“ და ისევ დაიწყო დიდი ტურნე... კოვიდის პერიოდში ონლაინ-კონცერტებს მართავდა.

კმაყოფილია, რომ ბულგარეთში აზუჩენას პარტია შეასრულა „ტრუბადურიდან“, რომელიც საკმაოდ რთულია, რასაც ისევ ტურნე მოჰყვა. შარშან სხვა საოპერო მომღერლებთან და მხატვრებთან ერთად, პოლონეთში იმყოფებოდა. იქაც წარმატებით გამოვიდა.

ახლა ბევრი რამ გააიოლა ინტერნეტმა - შეგიძლია ამა თუ იმ მომღერალზე მოიძიო მასალა და მოუსმინო კიდეც. სწორედ ინტერნეტიდან გაიცნეს და მიიწვიეს მოსმენაზე იტალიაში, პავაროტის ქალაქში, საიდანაც ასეთი წერილი მოუვიდა: „თუ ეს მართლა თქვენი ხმაა და არა აუდიო „შელამაზება“, გთხოვთ, ჩამოხვიდეთ მოსმენაზე“.

საინტერესო და ნაყოფიერი იქნება მომღერლისთვის 2023 წელი. ზაფხულში იტალიაში ტარდება „ბელკანტოს“ ფესტივალი, რომელზეც ორგანიზატორმა, სხვა მომღერლებთან ერთად, ჩვენი თანაქალაქელიც მიიწვია. ეთერ ხალვაში შეასრულებს ამნერისის პარტიას ვერდის ოპერიდან „აიდა“. თებერვალში მარინა ჯახუტაშვილის დიდი საიუბილეო საღამო გაიმართება, რომელშიც სხვა მომღერლებთან ერთად მიიღებს მონაწილეობას. როგორც გვითხრა, წელს აპირებს საკუთარი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას. ამ მხრივ ძალიან აქტიური იქნება, სურს ჩაატაროს კამერული კონცერტები, მათ შორის, სოლო კონცერტი - სიმებიან კვარტეტთან. ბევრი გეგმა აქვს. ეცდება, კიდევ უფრო მეტი პოპულარიზაცია გაუწიოს კლასიკურ მუსიკას ბათუმში. სურს პატარა თაობას, ახალგაზრდებს შეაყვაროს ხელოვნების ეს ჟანრი. ამ მხრივაც აქვს ახალი პროექტები ჩაფიქრებული.

წარმატება ვუსურვოთ ჩვენს ახალგაზრდა, ნიჭიერ მომღერალს.

თენგო დოლიძე: ოსკარის მსგავსად, მეც ვწერ წერილებს ღმერთისთვის

მე-7 გვერდიდან

- სიყვარული ოკეანეა უსასრულობის, მზის გული ხელუხლები და ფერთა გამა, კიდევ, აღმფრენა თავდავიწყების, მარადიული ნეტარების განცდა, სიზმარი - საოცნებო, გზა - წითელი, თეთრი და ვარდისფერი, გამარჯვებაა თავისთავადი და კიდევ რაღაც ძალიან უცნაური და სასიამოვნო. ჰორტენზიისფერი გრძნობაა, სამოთხის ბაღში დაკრეფილი ყვავილების სურნელის მსგავსი.

- როგორია შეყვარებული თენგო დოლიძე?

- ცხოვრობს სახლში მკბენარა ობობებთან და მერცხლებთან ერთად, რომლებიც აღარ მიფრინავენ თბილ ქვეყნებში... შეყვარებული თენგო მეტად თავდაჯერებული, იმედიანი და მოტივირებულია.

- ვნანობ...

- ფუჭად დახარჯულ დროს.

- წერის პროცესი ჰგავს...

- სეირნობას ზღვის ტალღებზე საყვარელ ადამიანთან ერთად.

- როგორ იბადება და იკინძება სათქმელი?

- ჩემს შემთხვევაში, კონცენტრაციით, ჭიქა ღვინოსთან ერთად, როცა ოთახში დაბალი შუქია, იდეალურ შემთხვევაში - სანთელი იწვის და ფირსაკრავზე მოცარტის ნოტები უკრავენ.

- ინტერესი, რომელსაც დიდ დროს უთმობთ...

- საინტერესო, გამოცდილი ადამიანების გაცნობა და მათი ისტორიების მოსმენა.

- რა აკლია დედამიწას?

- ჩვენი ყურადღება, ზრუნვა და სიყვარული.

- რომელი ჟანრის მუსიკას შეადარებდით საკუთარ თავს?

- საგალობლის მსგავს მუსიკას...

- სიმღერა, რომელსაც ყველაზე ხშირად ღიღინებთ...

- ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა (მეორე ჭიქიდან ვიწყებ, როგორც წესი).

- ადამიანი სხვა ეპოქიდან, ვისთან ერთადაც ისურვებდით ფინჯან ყავასთან საუბარს?

- უილიამ შექსპირი.

- ცხოვრება ჰგავს...

- კიბეს, რომელსაც ყოველ ახალ საფეხურს ჩვენ და უფალი ერთად ვამატებთ განვლილი გზის, მადლიერების და დაგეგმილი საქმეების თანხვედრით სამყაროს მთავარ კანონზომიერებასთან, რომელსაც სიკეთე ჰქვია.

- ადამიანის მთავარი დანიშნულება?

- მუდმივი სწავლა, ცოდნის და მიგნებების გაზიარება. სიკეთის ქმნა და სიყვარული.

- რა არის პატრიოტიზმი?

- ერთგულება და სიყვარული. ჩემთვის ძალაა, რომელიც მაძლევს მოტივაციას, ერთი აგური შევმატო იმის შენებას, რაც ასე განსაკუთრებით მიყვარს და მჭირდება!

- ახალგაზრდების როლი...

- მეტი რისკით, თავისუფლებით საკუთარი გზის შენება, შეცდომებზე სწავლა, განვითარებაზე ორიენტირებულობა, გამბედაობა და უკეთესი მომავლის შექმნა!

- დღე, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე?

- ასეთი ბევრია, მაგრამ შევეცდები, რამდენიმე გამოვყო. აი, მაგალითად, როცა გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდეგ დავბრუნდი საქართველოში და საპასპორტი კონტროლის წარმატებით გავლის შემდეგ მითხრეს - „გილოცავთ სამშობლოში დაბრუნებას!“ ასეთივე იყო, როცა ჩემს მოძღვარს - მამა სერგის შევხვდი, როცა მოვინათლე ანუ თავიდან დავიბადე, როცა ჩემი დისშვილი პირველად ავიყვანე ხელში, როცა ჩემი პირველი წიგნი დაიბეჭდა და საპილოტე ვერსია სტამბიდან გამომიგზავნეს...

- რომელი წიგნის პერსონაჟს შეადარებდით თავს და რატომ?

- ოსკარს, ერიკ-ემანუელ შმიტის ნაწარმოებიდან - „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“. ოსკარის მსგავსად, მეც ვწერ წერილებს ღმერთისთვის...

- შთაგონების წყარო...

- ბათუმი, ჩემი სახლი, მეგობრები...

- ჩვევა, რომელსაც გინდათ გადაეჩვიოთ, მაგრამ...

- არ მიყვარს დასრულებულ საქმეზე მეორედ მუშაობა. არადა, ასე შეიძლება შედეგის გაუმჯობესება. გულწრფელად მინდა ამას გადავეჩვიო.

- წარმატებისთვის აუცილებელია...

- ვფოკუსირდეთ მხოლოდ იმაზე, რაც ჩვენზეა დამოკიდებული და შევინარჩუნოთ წონასწორობა!

- ყველაზე მეტად რომელი კერძი ასოცირდება თქვენთვის აჭარასთან?

- ბებოს მომზადებული „ჭინჭრიანი ფხალი“. გახსენებაც კი მადას აღმიძრავს.

- ბათუმი მაძლევს...

- ყველაფერს, რაც მჭირდება იმისთვის, რომ ვიყო ბედნიერი, თავისუფალი, რეალიზებული.

- ადამიანები ჩვენ გარშემო....

- ვერ აფასებენ, როგორი მნიშნელოვანი და ლამაზია ჩვენი სიცოცხლე.

- ყავა თუ ჩაი?

- წითელი, ნახევრად ტკბილი ღვინო ან წყალი.

- უთხარით „მას“ „აჭარის“ საშუალებით...

- შენი გაცნობის შემდეგ ის, რაც ტყუილი მეგონა, სიმართლე აღმოჩნდა. ახლა იმას ვაკეთებ, რასაც არასოდეს გავაკეთებდი. შენი წყალობით მე სხვა თვალებიდან გამოვიხედე და დავინახე სამყაროს მშვენიერება. წლებია, ცაზე ვარსკვლავებს ვეძებ. ჩემს ცხოვრებაში შენი გამოჩენის შემდეგ მივხვდი, რომ ის ვარსკვლავი, რომელსაც ამდენი ხანი ვეძებდი, სწორედ ჩემ წინ ყოფილა. შენ ჩემი ცხოვრების ფერადი მძივი და ის ადამიანი ხარ, ვინც მუდმივად თავბრუს მახვევს და გონებას მაკარგვინებს...

- მინდა წლების შემდეგ ჩემზე თქვან...

- რომ რაღაც უკეთესობისკენ შევცვალე.

- როდის იტირეთ ბოლოს და რაზე?

- სოციალურ ქსელში შემხვდა პატარა გიორგის წერილი, რომელიც თოვლის ბაბუს სწერდა: - წელს ჩემთვის არაფერს გთხოვ, ჩემს კლასელ ანას მამა დაუბრუნე.

- ყოვლისშემძლე რომ იყოთ...

- ყველა გაჭირვებულ ადამიანს სახლს და საჭმელს მივცემდი.

- როლი, რომლის შესრულებაზეც ფილმში ან ცხოვრებაში ხშირად გიფიქრიათ...

- ისტორიულ გმირებს თუ გადავავლებთ თვალს, სიამოვნებით წარმოვიდგენდი თავს დავით აღმაშენებლის მთავარი ვეზირის როლში, ვინც მისი განსაკუთრებული მეგობარი და მრჩეველი იყო. თანამედროვეობიდან კი ოლივერის როლში წარმოვიდგენ თავს ფილმიდან „ყველაფერი, ყველა ფერი“, სადაც ოლი ეხმარება მედლინს, თავი დააღწიოს ტყვეობას და დატკბეს ცხოვრებით.

- ვისთან ერთად იცეკვებდით წვიმაში ტანგოს?

- მერლინ მონროსთან.

- დაბოლოს...

- არ არსებობს სწორად ცხოვრების ინსტრუქცია. არსებობს ინდივიდუალური გზა,

და საგზალი, რომლითაც უნდა იკვებო ამ გზაზე

სიარულის დროს.

და ილოცო.

და გიყვარდეს.

და იყო მადლიერი.

რაც ბოროტი და ბნელია, მას დასაბამი არ აქვს, ის ადრე

თუ გვიან აუცილებლად ქრება. სამუდამოდ კი არსებობს

სიკეთე, სიყვარული და ღმერთი.

ყველა ადამიანი იმსახურებს იყოს ბედნიერი და

თავისუფალი.

არასოდეს მოინდომო მიბაძო ან ჰგავდე სხვას.

სარკის წინ ამაყად დადექი და გაუმეორე შენს თავს:

მე მიყვარს ჩემი ცხოვრება - არაფერს ვნანობ, ყველაფერი

მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო.

მე მიყვარს საკუთარი თავი და ჩემი არჩევანი.

რადგან -

მე - მე ვარ!